



ილორი

www.ilori.ge
E-mail: r.jalagania@mail.ru



№253 (312) 21-28 იანვარი 2014 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორბანი 30 თეთრი

საზოგადოებრივი მორალი – სახელმწიფოს აღმშენებლის ძვაკუთხედი

სამწუხაროდ, უამრავ ვინმეს, არა თუ მორალურ პრინციპებზე აგებული ცხოვრების წესის დაცვა ძალუძს, არამედ ელემენტარული წარმოდგენაც კი არ გააჩნია ამ სიტყვის მნიშვნელობაზე. ამიტომ, წერილის თავშივე განვმარტავ მის აზრობრივ მნიშვნელობას.

მცნება **მორალი** ნიშნავს იმ წესებისა და ნორმების ერთობლიობას, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანთა ურთიერთ-დაპირისპირებას და ყოფაცხვეს ამა თუ იმ საზოგადოებაში. სხვაგვარად კი ამას ზნეობას უწოდებენ, რომელიც ამა თუ იმ პიროვნების ცხოვრების წესის ეტალონი გახლავთ.

ესე იგი, ამ განმარტებიდან აშკარად ჩანს, რომ მორალი და ზნეობა ერთნაირად აუცილებელია როგორც ონტოლოგიურ (პრაქტიკულ), ასევე გნოსოლოგიურ (შე-მეცნებით) ყოფაში. მათ ასე, დავიწყოთ პოლიტიკით:

არაფერი მაქვს იმის საწინააღმდეგო, რომ ადამიანი ბიზნესიდან მოვიდეს პოლიტიკაში, მაგრამ ამ არჩევანს სათანადო იურიდიული წინაპირობა გააჩნია – პოლიტიკაში წასვლის მსურველმა ბიზნესმენმა უარი უნდა თქვას ბიზნესში მონაწილეობაზე, უნდა გადააბაროს მისი წილები სხვას და გაწმენდილ-გასუფთავებული უნდა წავიდეს პოლიტიკაში. ასეა კი საქმე ჩვენს პოლიტიკაში?

გარეგნულად თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ყველამ კარგად იცის, რომ ბიზნესის გადაბარება ხდება თვალთმაქციური გარეგნობით და პოლიტიკაში მოკალათებული ბიზნესმენი კვლავაც აქტიურად აგრძელებს საკუთარი ბიზნესის მართვასა თუ ლობივებას. მან კარგად იცის, რომ პოლიტიკას დროებით შეეკედლეული მოღვაწეა და, ადრე თუ გვიან, მაინც ბიზნესის სფეროში მოუწევს დაბრუნება, ამიტომაც ვერ დაუშვებს მისთვის ესოდენ მნიშვნელოვან ინსტრუმენტის დასუსტებას და მთელი მისი გულისყური ამ ბიზნესის გაძლიერებისაკენ იქნება მიმართული. ცხოვრებაში კი ყველაზე ამორალურ და დანაშაულებრივ საქმედ ითვლება პოლიტიკური კაპიტალის გამოყენება ფინანსური კაპიტალის მოსახვეჭად, რადგან სწორედ აქ ეყრება საფუძველი ე.წ. **“საუკუნის დანაშაულებსაც”** კი.

სწორედ ეს გახლავთ პოლიტიკოსის ამორალური საქციელი, სხვა ნეგატიურ მოვლენებზე რომ არაფერი ვთქვათ, რომელმაც შეიძლება ფრიად არასასურველი გავლენა იქონიოს ქვეყანაში არსებულ ზოგად ბიზნესკლიმატზე კი. არც ამის ახსნა გახლავთ ძველი: ბიზნესიდან მაქსიმალური მოგების ამოსაქანად ყველაზე უპრიანი გახლავთ დარგის მონოპოლიზება, რაც საშუალებას აძლევს მონოპოლისტს, რომ საკუთარ ნებაზე ატრიალოს ფასები პროდუქციაზე და მომხმარებლის ძარცვის გზით მოხვეჭოს მილიონები. დარგის მონოპოლიზება კი ყველაზე მეტად პოლიტიკოსებს ხელეწიფება, რადგან მათ ხელშია თავმოყრილი პოლიტიკური და ეკონომიკური სფეროს **“რეგულირების”** ბერკეტები. გაიხსენეთ თუნდაც ის, რომ დღენიადავ სარფსა და მოხვეჭას დახარბებულმა ნაციონალებმა როგორ გააუქმეს საქართველოში ანტიმონოპოლიური სამსახური, რითაც უპირველესად ხელ-ფეხი გაეხსნათ პარლამენტში მოკალათებული **“მათ პოლიტიკოს-ბიზნესმენებს”**.

სწორედ ამან გამოიწვია ადგილობრივი წარმოების კვლევა და ფასების არანორ-

მალურად, მაგრამ წინასწარგამიზნულად ზრდა იმპორტულ საქონელზე, მედიკამენტებზე, კვების პროდუქტების ზოგიერთ სახეობაზე, სამშენებლო და საწვავ-საცხებ მასალებზე...

ქვეყნის მოსახლეობის არსებობისათვის აუცილებელი დარგების მონოპოლიზების სქემა იმდენად **“დახვეწილი”** და რაფინირებული ჰქონდათ ქართული კანონმდებლობისა და **“ნაციონალური ბიზნესის”** მამებს, რომ უკვე წელწადნახევარი ვადის ამ ავადსახსენებელი არაქართული ძალისა და მათი დორბლიანი **“ბუღალის”** მარწუხებისაგან საქართველოს დახსნის დღიდან, მაგრამ ამ დარგში წესრიგის დამყარებას, როგორც სწავს, კიდევ საკმაოდ დიდი დრო და ძალისხმევა დასჭირდება.

ჯერჯერობით, ბიზნესიდან პოლიტიკაში მოსული ერთადერთი მოღვაწე მოიქცა კორუპტულად, რომელმაც ნამდვილად მისი ბიზნესისათვის აშკარად საზიანო ნაბიჯი გადადგა. საუბარია მილიარდერ ბატონ ბიძინა ივანიშვილზე, რომელსაც საკმაოდ წარმატებული ბიზნესი ჰქონდა რუსეთში (მის საკუთარ ბანკს რომ თავი გაავანებოთ), მაგრამ ნაციონალურად რომ არ ეყვანათ: **“ივანიშვილი რუსეთის პროტექტორი”**, მან საკმაოდ იაფად გაყიდა რუსული აქტივები და ახლა, როცა იგი გაერიდა პოლიტიკას, გაირკვა, რომ ივანიშვილი არ წასულა რაიმე თვალთმაქცურ გარიგებაზე საკუთარ სინდისთან და მართლაც გაუყვია მისი ბიზნესისათვის საკმაოდ სარფიანი აქტივები ლამის ჩალის ფასად.

როგორც ჩანს, მთლად ბიზნესიდან პოლიტიკაში მოსული ხალხის კეთილსინდისიერების იმედად ვერ დავრწმუნებთ და ამ დარგში აუცილებელი იქნება საკანონმდებლო რეგულაციების შემოღება.

ამა თუ იმ პიროვნების ყოფაცხვეაში მორალის დეფიციტზე კლასიკურად მიანიშნებს ერთი ფრთიანი ქართული გამოთქმა: **“უნახავმა რა ნახა...”**. სხვა რა შედარება შეიძლება მოვუძებნოთ უშიშროების მდინად და მთავარ პროკურორად (აქ უკვე ყოფილ) ახლადდანიშნული ირინა იმერლიშვილისა და ოთარ ფარცხვალაძის საქციელს, რომელთაც კაბინეტში შესვლამდე შეიძინეს ძვირადღირებული მანქანები, და ეს მაშინ, როცა ქვეყნის ბიუჯეტი ბევრად ჩამორჩა შევსების გეგმას. ქვეყნისა და ხალხის ბედის ამგვარმა უდარდებლობამ და **“ფეხებზემკიდიაობამ”** მიიყვანა ნაციონალთა მმართველობის ქაშს საქართველო იქამდე, სადამდეც მიიყვანა და მდგომარეობის გამოსწორებას ალბათ მრავალი წელი და მთელი ქვეყნის დიდი ძალისხმევა დასჭირდება.

განსაკუთრებული გულისწერომაა გამოსაცხადებელი იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც წურბელებით მიეკერებიან ხოლმე ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიას ან მოძრაობას, ხოტბა-დიდებით ცაში აჰყავთ მათი ლიდერები, მაგრამ სასურველი შედეგის ვერმიღების ან იმ პოლიტიკური ძალის დამარცხების შემთხვევაში საერთოდ ივიწყებენ ყოფილი კერპების არსებობას.

მრავალთაგან მხოლოდ ერთ ფაქტს დავიმოწმებ – ძალიან კარგად გვახსოვს, რომ 2003 წელის ავადსახსენებელი **“გარდების რეგულაციის”** შემდეგ, როცა საქართველოს ხელისუფლებაში ფსევდოეპროფული ძალები მოვიდნენ, ლამის ყველამ ე.წ. **“ხეიდისტობა”** დაიბრალა, იმიტომ, რომ ნაციონალებმა 1991-92 წლების პუტჩის მიხედვით გამოძიების პირობა დადეს, ხოლო უხეივანი საბჭოს დეპუტატებს მალ-

ალი პენსიები დაუნიშნეს. მაგრამ საქმე ზვიადის სახელის ხსენებისა და მისადმი ერთგულების დასამტკიცებლად გულზე მუშტის ბრაგუნზე შორს არ წასულა. ერთადერთი პოლიტიკოსი, ვინც ზუგდიდში ზვიად გამსახურდიას ძველი დაუდგა, გახლდათ ალექსანდრე ჭაჭია, რომელიც არასოდეს გამოჰკიდებია რომელიმე თანამდებობას, და რომ არა ბატონი ალექსანდრეს გულისხმიერება და ჭეშმარიტი ერთგულება ერთგული მოძრაობის მესვეურთა მიმართ, პუტჩის შემდეგ წამოსულ ახალგაზრდა თაობას საერთოდ არ ეცოდინებოდა, თუ ვინ იყვნენ სულმნათები ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა და რა როლი ითამაშეს მათ საქართველოსათვის დამოუკიდებლობის მოპოვების საქმეში. სამაგიეროდ ყველამ კარგად იცის თუ ვინ იყვნენ მორალისაგან აბსოლუტურად დაცლილი შევარდნაძე და სააკაშვილი...

შევახსენებ ამ სულმოკლე და ხელწაგრძელებულ არამზადებს, რომ ყველაზე დიდი მრეხელობა იმქვეყნად გადასულ გმირთა სახელებით სპეკულირება გახლავთ!

ამორალურია, როცა ქართული არასამთავრობო, პუბლიური დახმარების სახით, სამედიცინო მოწოდებლობებს უფასოდ იღებენ უცხოეთის ქვეყნებისაგან, და შემდეგ მამასისხლად ჰყიდიან ჯანდაცვის ქართულ ობიექტებზე. ასევე ამორალურია, როცა ყალბი დოკუმენტებით ანაკლიაში, კვარიაში, ქობულეთსა თუ სხვა საკურორტო ზონაში მოწინააღმდეგე ან უძრავ-მოძრავ ქონებას ეპორტირებენ და ამ გზით ცდილობენ ფულითა და ქონების მოხვეჭას, სხვისი ქონების უკანონოდ დაუფლებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ! გარდა ამორალურობისა, ამგვარ ქმედებაში აშკარად იკვეთება სისხლის სამართლის საკმაოდ მძიმე დანაშაული და მიუხედავად სახელმწიფოს მიერ გამოცხადებული ამინტიისა, ასეთ საძრახის საქმეებში მხილებულს შეიძლება წლობით მოუწიოს ციხეში ყურყურტი, ვანო მერაბიშვილთან და მის ამფსონებთან ერთად.

ამორალურია, როცა საკუთარი მოგების გასაზრდელად არაფრად მიიჩნევენ არც რეაკიაციული ზონების არსებობის აუცილებლობას და მათ ხელშეუხებლობას, არც ისტორიულ ძეგლების დაცვის წმინდააქტივობა საქმეს და მიზნის მისაღწევად ბუღდოზურივით ჯიუტად მიიწევენ დასახული მიზნისაკენ.

ამორალურია, როცა ქვეყნისა და ერის გულშემატკივრის მანტიამოსხმული და-იარები, მარჯვნივ და მარცნივ ყველას ამუთათებ და არაერთგვარადასაში სდებენ ბრალს, სინამდვილეში კი მთელ ძალისხმევას საკუთარი მიზნების (არც თუ იშვიათად – ბინძური) ხორცშესხმას ახმარ.

ამორალურია, როცა სისხლის სამართლის დამნაშაულის დაპატიმრებას პოლიტიკური მოტივებით ხსნი და ცდილობს მის გათავისუფლებას, მაშინ, როცა ამ პატიმარს ხელი სხვა პატიმრების სისხლში აქვს გასვრილი.

ამორალურია, როცა გქვია პოლიტიკოსი, თუმცა თავადაც ხელები საკუთარი პოლიტიკური მომავლის უპერსპექტივობას, საკუთარ წარუმატებლობას სხვებს აბრალებ და ურცხვად აცხადებ – საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო არჩევნებში რომ არ გაეყალბებინათ, უუკუვალად მე გავიმარჯვებდი!

ამორალურობა ხალხში საკუთარი ნახმარ-უხმარი საცვლების გამოყენა და ტელ-

ეგადაცემებში იმით ყვლეკლობა თუ ვის უფრო მეტი ცოლი, ქმარი თუ საყვარელი ჰყავდა!

ამორალურია, როცა აქლემის ქურდი ნემსის ქურდს დასდევს დასაჭერად, როცა 15 ლარის ქურდობაში მხილებული ადამიანი ათწლიან პატიმრობას იხდის, მილიონების მპარავი და მფლანგველი კი კვლავაც დიდი პატივით სარგებლობს საზოგადოებაში!

ამორალურია და გულისამრევი (უმიძიეს ბიბლიურ შეცოდებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ) პომოსექსუალების, ლესბოსელების და სხვა გადაგვარებულების **“ღირსების”** დაცვა და მათი წაქეზება სხვების გადასაბირებლად, მით უმეტეს, როცა ფაქტია, რომ მთელი ეს ანტიქართული და ანტირელიგიური ძალა უცხოეთიდან შემოდენილი ფინანსებითა და ინსტრუქციებით იმართება და ქვეყნის დაშლის საქმეს ემსახურება!

ამორალურია, როცა ვიღაც ზნედაცემული დედააკცი თუ გზას აცდენილი მამრი უწმინდესსა და უნეტარესს უდიერი სიტყვებით მოიხსენიებს და მის მამაშვილურ დარიგებას არა დაგიდევს!

ასე რომ, ყველაფერი, რაც ზნეობის მიღებულ ფარგლებში არ ჯდება – ამორალურია!

ყოველივე ამორალურს კი გამომზიურება და საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანა სჭირდება!

მკითხველი შეამჩნევს, რომ, რამდენიმე ნიშნადოკლეი გამოწკაპისის გარდა, ამორალობის დამადასტურებელ ფაქტებსა და ამორალურ პიროვნებათა ვინაობას არ ვაკონკრეტებთ, რადგან უამრავი გვარ-სახელების მოხმობა დაგვირდებოდა, მაგრამ ისინი, ვინც ამორალიზმში გაწაფულები არიან, აუცილებლად ამოიცნობენ საკუთარ თავს ამ **“უწყინარ”** სტრიქონებში.

სამწუხაროა ისიც, რომ დღეს არ გავაჩნია საზოგადოებრივი გაკიცხვის მექანიზმი, რაც მზის შუქზე გამოიტანდა მავანთა უდიერს საქმეებს და ფართო მსჯელობის საგნად აქცევდა მას. ამიტომაცაა გადაგებული სასამართლოები სხვადასხვა სახის საჩივრებით, რომელშიც ხანდახან მორალური კომპენსაციის საკითხიც გაერთობა ხოლმე, მაგრამ ყველაზე სავალალო ის არის, რომ მორალზე მსჯელობა სასამართლოს დარბაზში იწყება და იქვე მთავრდება ხოლმე. არავითარი განსჯა-განზოგადობა მორალური კოდექსის დარღვევათა მიხედვით უნდა იქნებოდეს... არავითარი მობოდიშება...

ეს გახლავთ სწორედ ის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ამორალურობა, რომლის გარეშეც სამართლიანი და ჭეშმარიტად დემოკრატიული სახელმწიფოს აშენება წარმოუდგენელია!

ამიტომაც ვამბობთ იმთ საყურადღებოდ, ვისაც დვითს წერომაზე მეტად კანონის ეშინიათ – მორალური და სისხლის სამართლის კოდექსი იმდენად არის გადაჯაჭვული ერთმანეთთან, რომ, როგორც იტყვიან **“უზნეობიდან ციხის კამერამდე ნახევარი ნაბიჯია”!**

ამიტომ, სულით ცოდილნო, მეტი სიფრთხილით მოვიკიდეთ არსებობის ზნეობრივ ასპექტებს!

მაღალი ზნეობისა და მორალის გარეშე ცხოვრება იგივეა, რომ უღაბნოში ხანგრძლივად სამოგზაუროდ წასვიდე და თან წყალი არ წაიღო. ეს ხომ გარდაუვალი სიკვდილს ნიშნავს!

როლანდ ჯალაღანია

ხუხუტი სოლომონის ძე ბლაჟბა

ამას წინათ ჩვენმა აფხაზმა მეგობრებმა მოგაწოდეს ცნობილი აფხაზი მეცნიერისა და მწერლის არველი კუბრაგას სექტანინი წიგნი "ხალხი: დრო და ცხოვრება", რომელშიც შესულია ბიოგრაფიული ნარკვევები და ისტორიული პორტრეტები იმ სახელგანთქმული აფხაზი მოღვაწეებისა, რომელთაც ნათელი კვალი დასტოვეს აფხაზეთისა და საქართველოს ისტორიაში.

რუბრიკით "აფხაზეთის ღირსეული შვილები", ვაგრძელებთ წიგნში დასტამბულ ბიოგრაფიების გამოქვეყნებას.

ხუხუტი ბლაჟბას, პირველად, სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში შევხვდი, ჩემი სტუდენტობის დროს. მაშინ იგი ფილოლოგიის ფაკულტეტზე კითხულობდა ლექციებს. ვეროპულ კოსტუმში გამოწყობილი, ოქროს-ვარაყიანი სათვალეთა და განუყრელი პორტფელით, იგი თითქოს მდიდური ადამიანის შთაბეჭდილებას სტოვებდა, მაგრამ მალე დავერწმუნდი რომ ვცდებოდი. იგი საოცრად გულისხმიერი და თავაზიანი პიროვნება გახლდათ, ერთნაირ კორექტულობას ამჟღავნებდა როგორც კოლეგებთან, ასევე სტუდენტებთან. მისგან მხოლოდ თბილი შინაგანი კულტურა და მაღალი ადამიანური თვისებები მოვლინებოდა.

1951 წლის თებერვალში ხუხუტი ბლაჟბა ტყვარჩელაში ჩამოვიდა აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ლექტორთა ჯგუფთან ერთად. მაშინ მე ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის ავტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგედ ვმუშაობდი. ჩვენ აკარმარაში ჩავედით. დიდი თოვლი იყო, მაგრამ ფეხით მივედით დარბაზამდე, სადაც ხუხუტიმ ორი ლექცია წაიკითხა, შემდეგ კი ხალხისთან პასუხობდა დამსწრეთა შეკითხვებს. ურთულეს საკითხებზე საუბრობდა უბრალო, ყველასათვის გასაგებ ენით, რისთვისაც მისი ლექციის მსმენელთა გულთბილი მადლობა დაიმსახურა.

შემდეგ არაერთგზის მომისმენია მისი სამეცნიერო მოხსენებებისათვის, ლიტერატურულ-კრიტიკული შემცენებითი საჯარო გამოსვლებისათვის, რომლებიც დიდი ხიდრმითა და ანალიტიკური წვდომით გამოირჩეოდნენ.

ხუხუტი უადრესად მკაცრი და მომთხროვნი გახლდათ, უპირველესად, საკუთარი თავის მიმართ. ყოველი, თუნდაც ხუთწუ-

თიანი გამოსვლისათვის საგულდაგულოდ ემზადებოდა, მწყობრად და ლოკურად აყალიბებდა სათქმელს, სისტემატურად ხეწდა შინაარსობრივ მხარეს, გამომსახველობით მანერებსაც კი. ყვექტურად იყენებდა აფხაზური ენის მდიდარ ნიუანსებს, იყენებდა სხვადასხვა ეპითეტებს, მეტაფორებს, აფხაზური ფოლკლორის ბრწყინვალე ნიმუშებს: ანდაზებსა და ხალხურ თქმულებებს...

1955 წელს გამოიძახა ჩემმა აღმზრდელმა გიორგი ძიძარამ, რომელიც აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ მუშაობდა და ინსტიტუტის დირექტორის ხუხუტი ბლაჟბას თანდასწრებით შემომთავაზა მუხუმის დირექტორის მოადგილის თანამდებობა სამეცნიერო ნაწილში. მაგრამ მე უარი განვიცხადე ამ შემთავაზებაზე, რადგან მეცნიერებას მსურდა გავყოლოდი და თავს უფლებას ვერ მივცემდი ძვირფასი დრო დამეთმო ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტისათვის. ორივენი ვაკებით შეხვდნენ ჩემს გადაწყვეტილებას, მაგრამ, ხუხუტიმ, როგორც ჩანს, კარგად დაისხმა ჩემი მისწრაფებები და როგორც კი კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ბაგრატ შინკუბა გადაიყვანეს აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ, წამსვე შემომთავაზა გამონათავისუფლებული თანამდებობა, რაზედაც მე დიდი ხალხისთ დაეთანხმდი.

მასთან ერთად მუშაობისას უფრო ახლოს გავიცანი სულგანათლებული ხუხუტი, როგორც ცხოვრებისაგან გამობრძმედილი, უადრესად განათლებული, ჭკვიანი და პრინციპული პიროვნება. ეს თვისებები მას შესძინა მიიმე ბავშვობამ და პროფესიონალიზმისაკენ სწრაფვით დიდი წინაღმდეგობების გადალახვის შესაშურმა უნარმა, რამაც აფხაზეთის მეცნიერების მწვერალებამდე აიყვანა ეს მართლაც უნიკალური პიროვნება. იგი და მისი კოლეგა აფხაზი ენათმეცნიერები ე. ძიძარია, შ. ინალი-ივა, ზ. ანჩაბაძე, მ. ტრაპაშვილი და სხვები, მეცნიერებაში მიღწეულ წარმატებებს მხოლოდ საკუთარ თავს უნდა უმადლოდნენ. სწორედ ხუხუტის დიდი დამსახურება გახლავთ ის ამბავი, რომ აფხაზეთის ენისა და ისტორიის საკითხებში სამუშაოდ მოვიდნენ მაშინ ახალგაზრდა, შემდეგ კი

აფხაზეთის გამოჩენილი მეცნიერები კ. შაკრილი, გ. შაკირბეი, ლ. სოლოვიოვი, ლ. აკაბა, ს. ბუანია. სწორედ ამ ადამიანებმა შექმნეს ნიჭიერი აფხაზმცოდნეთა ფუნდამენტური რგოლი, რომელთაც ხელეწიფებოდათ აფხაზეთის მეცნიერების უპირველესი ამოცანების გადაჭრა.

1962 წელს, როცა ხუხუტი ბლაჟბა საქართველოს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გახლდათ, მან პროდუქტიულად გამოიყენა ეს მაღალი თანამდებობა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელშეწყობით შექმნა ახალი მიმართულებები აფხაზურ ენათმეცნიერებაში, დააშვებინა სათანადო ფინანსები ვაკანსიებზე მაღალი დონის მეცნიერების მოსაწვევად. აფხაზი ისტორიკოსების, არქეოლოგების, ეთნოგრაფების და სხვა მეცნიერთა შემდგომმა წარმატებულმა საქმიანობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ხუხუტი ბლაჟბას მეცნიერულ-ორგანიზაციული გათვლების სისწორე.

არ დამავიწყდება, თუ როგორ მამხნევებდა იგი და მიქებდა ჩემს პირველ მონოგრაფიას – "საბჭოთა აფხაზეთში მიმდინარე კულტურული აღმშენებლობა 1921-1925 წლებში". ეჭვი არ მეპარება, რომ ჩემს ამ პირველ ნაშრომში უამრავი რამ იყო დასახვეწი და დასახუსტეგბელი, მაგრამ სულგანათლებულმა ხუხუტი ბლაჟბამ მხოლოდ ჩემი ნაშრომის დადებითი ასპექტები წამოსწია წინა პლანზე და ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ საკუთარ შესაძლებლობებში დავერწმუნებინე. იგივე განწყობა შეუქმნა მან ჩემს უფროს კოლეგებსა და მეგობრებს, რაც ჩემი შემდგომი მეცნიერული საქმიანობის დიდ სტიმულად იქცა.

არ შემიძლია ხაზი არ გავუსვა კიდევ ერთ გარემოებას, რამაც ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა – უბრალოება, რაც ამ დიდი ადამიანის ოჯახში სუფევდა. და ეს უბრალოება იგრძნობოდა ყველა ასპექტში – ადამიანებთან ურთიერთობაში, დახვეწილ მანერებში, ბინის სადა მაგრამ მაღალმხავერულ გაფორმებაში, ოთახებში მიმოხეველ ყვეაილებში, მოკრძალებულ, მაგრამ კოპწია ავეჯში...

ხუხუტის ბინის მიმხიდეველი ინტერიერის უდავო მშვენიერება გახლდათ მისი დიდი ბიბლიოთეკა, რაც აფხაზეთის ერთ-ერთ

მნიშვნელოვან საუნჯედ არის მიჩნეული. უნიკალური ისტორიული ჟანრის წიგნები ინახება ხუხუტის ბიბლიოთეკაში, რაც დღესაც დიდ სამსახურს უწევს არა მხოლოდ აფხაზ მეცნიერებს.

სულგანათლებული ხუხუტი დღენიადაც აფხაზეთის ბედზე ზრუნავდა, ცდილობდა ღირსეულად წარმოეჩინა იგი საერთაშორისო არენაზე, რათა მისი ღირებულებები პრაქტიკულ საქმეებში წადგომოდა მსოფლიო მეცნიერებას, და შორს გაეტანა მისი სამშობლოს სახელი.

ერთხელ, როცა სოხუმის ქუჩებში დავსეირნობდით, საიუველირო მაღაზიაში შევედით, სადაც ხუხუტის ყურადღება გასაყიდად გამოფენილმა ერთ-ერთმა ნივთმა მიიპყრო. ეს გახლდათ ბზის ხისგან დამზადებული, შავად შეფერილი კოსტა სირჩა, რომელსაც წვრილი ასობით ეწერა "აფხაზეთი", გვერდზე კი გამოსახული იყო ყურძნის მტევანი – როგორც აფხაზეთის სიუხვისა და სიკეთის სიმბოლო. ხუხუტიმ დაუფიქრებლად იყიდა საკმაოდ ძვირადღირებული უნიკალური ნივთი და გახარებულმა მიიხრა:

– აფხაზეთში უამრავი სტუმარი ჩამოდის, უკეთეს მათ ვერაფერს ვაჩუქებთ. შესვამენ ამ სირჩით კონიაკს და აფხაზეთსა და მის მასპინძლებს გულთბილად მოიხსენიებენ!

ხუხუტი ბლაჟბამ დიდი როლი ითამაშა აფხაზური ლიტერატურისა და მეცნიერების განვითარებასა თუ საზოგადოებრივი ყოფის გააქტიურებაში. ბუნებრივია, რომ მისი ორგანიზაციული საქმიანობა აფხაზეთის მწერალთა კავშირში, ინსტიტუტში თუ უმაღლეს საბჭოში დიდ დროს ართმევდა მეცნიერს და, შეიძლება ითქვას, რომ იგი რეალურად აღიქვამდა პოლიტიკისა და მეცნიერების ურთიერთშეუთავსებლობას.

მიუხედავად ცხოვრების უამრავ სფეროში მიღწეული დიდი წარმატებებისა, ხუხუტი ბლაჟბა გამოირჩეოდა თავისი ადამიანურობით, რომლის მოწოდებლად ყოველთვის რჩებოდა მშობლიური აფხაზეთისა და აფხაზი ხალხისადმი მსახურება. იგი გახლდათ შესაშურად პრინციპული, მაგრამ გულუხვი და აუღრესად გულკეთილი ადამიანი, რომელსაც ყოველთვის თბილად მოიხსენიებენ მომავალი თაობები.

აფხაზი ღიზინერის კოლექცია ჩოხის ელემენტებით

ამას წინათ სოციალურ ქსელებში გავრცელდა ინფორმაცია მსოფლიო მოდის ავანსცენაზე ახალგაზრდა აფხაზი ღიზინერის kamuchii-ის გამოჩენის თაობაზე, რომელიც კოლეგებს შორის ფრიად ორიგინალური ხელწერით გამოირჩევა.

kamuchii ახალგაზრდა აფხაზი ღიზინერი კამა ცვიშბაა, რომელსაც მიგნებათა მართლაც ორიგინალური და საინტერესო სტილი აქვს. რამდენიმე კვირის წინ გოგონამ ახალი კოლექცია გამოუშვა, რომელშიც კავკასიური სამოსის ელემენტები შეიმჩნევა: kamuchii-ის კაბებსა და პიჯაკებს ჩოხის ქილები ამშვენებს.

დღეისათვის კამა ცვიშბას სოციალურ ქსელ "ინსტაგრამზე" 5 ათასამდე მიმდევარი ჰყავს. მათში, ძირითადად, აფხაზი და რუსი მოდის მოყვარულები სჭარბობენ, თუმცა არიან ქართველი მომხმარებლებიც, რომლებიც ფოტოებზე კომენტარებში წერენ, რომ ეს ქართული ნაციონალური სამოსის დეტალია. ღიზინერი კი მათ პასუხობს, რომ ინსპირაცია კოლექციის შესაქმნელად აფხაზური სამოსიდან აიღო. აფხაზური და ქართული ეროვნული სამოსი კი, ფაქტია, რომ დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.



უჩვეულო აფხაზური ზამთრის დიდებულება

მიუხედავად გამოთშავი სიცივისა ჭყაპისა, თოვლს მაინც გააჩნია თავისი ხიბლი, რაც ხშირად ქცეულა ხოლმე დიდ შემოქმედთა შთაგონების წყაროდ. გეოგრაფიულად აფხაზეთი მუდამ ითვლებოდა სუბტროპიკულ ზონად და იგი არასოდეს ასოცირდებოდა ზამთრის თეთრად შეფეთქილ ფენომენთან. აქ თაობები იზრდებოდნენ ისე, რომ თოვლი და თოში მხოლოდ ფილმებსა ან წიგნებში თუ ჰქონდათ ნანახი.

მაგრამ წლევანდელმა ზამთარმა მკაცრად "შოიქნია კული" და აფხაზეთსაც დაამჩნია თავისი ღამაზი, მაგრამ სუსხიანი ხელი. აფხაზმა ბლოგერმა თემურ აგრბამ საკუთარ ვებ-გვერდზე განათავსა გადაღებული ფოტოები, რომლებშიც ასახულია დათოვლილი აფხაზეთი.

ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ აღნიშნულ ფოტოგალერეას.




ამაბდარი პოეტის ახალი ვიზნი

25 დეკემბერს, წალენჯიხის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის სააქტო დარბაზის ყვავილებითა და საზეიმო აქსესუარებით გაწყობილი აგანსცენის ერთ მხარეს, მონუქურთმებელ სავარძელში იჯდა ჯვარგამოსახული კოლხური ქუდი შემოსილი ამბდარი პოეტი, რომელსაც გვერდით ანთებული კელაპტრების შუქი დაჰნათობდა, მისი შემოქმედების დამფასებელი დარბაზი ვერ იტყვდა და კულისებში ფეხზე იდგნენ...
საზეიმო პანგისა და საყოველთაო ტაშის ხმაზე დაიწყო ლიტერატურული შემოქმედებითი საღამო, რომელიც პოეტ რინოს კვარაცხელიას ახალი წიგნის „წრებრუნვა“-ს განხილვას მიეძღვნა.

პოეტი რინოს კვარაცხელია!

დღეს იგი ცნობილია როგორც პოპულარული პოეტი და საზოგადო მოღვაწე ავ ბედისწერაზე გამარჯვებული პიროვნება! განსაკუთრებით უყვარს რინოს მშობლიურ წალენჯიხისა და სამეგრელოში, რადგან აქ უფრო იცნობენ, ახლობლობენ თავმდაბლობითა და გულთადადობით, ვაჟკაცური პირდაპირობით, ხშირად ლაკადური მეგრული მახვილი სიტყვითაც გამოირჩეულ შემოქმედს, მაგრამ არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ საქართველოში, ვინც



მის პოეზიას გაცნობილია, შეუძლებელია არ იგრძნოს პოეტის ერთგული, კეთილშობილური შემართება ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესების დასაცავად... იგი მუდამ ცხოვრების მღვდელარეზიონშია და ცდილობს გადმოსცეს ადამიანის სულის მშველახე სათუთი ხმიანობა...
მამული, სამშობლო, ადამიანის ადგილი სამყაროში, სიძარტის მდგრად სამსახური, ზნეობა და სიყვარული, ტრაგიკული ხეყვარის – სიკვდილ-სიცოცხლის უმძაფრეს განცდათა სიმწვავე მისი საფიქრალ-საწესბარია...
პოეზიის სიყვარული მამისგან გამოჰყვა, ფუტკარივით მშრომელ გლეხკაცს, თოფანეს ბუნებისგან მუხისადმი ღრთოლვაც დაჰყოლია და ლექსის გამოთქმა შეეგებას პვერიდა ხოლმეო... მისი სხონისადმი მადლიერებას გამოხატავს რინოს: „კუბოს კარამდე გულმართალი დარჩა და შვილთა პატიოსნება დაგვიტოვა უმიძიეს ტვირთად“.
მართლაც პატიოსნად, უხადოდ განვლო ცხოვრებისეული გზა პოეტმა. თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ათეული წლების მანძილზე მშობლიური რაიონის გახეთქილი სოფლის მურნების განყოფილებაში პირნათლად ხელმძღვანელობდა. 80-იანი წლებიდან ეროვნული

მოპრობის ტალღას აჰყვა – საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლაში ჩაება, – 1993 წელს მეკეთრად ოპოზიციურ გახეთ „წალენჯიხის ზარბუზი“ საქმიანობდა, შემდეგ უფრო ფართო მასშტაბით გააგრძელა ოპოზიციურ პრესაში თანამშრომლობა. ჟურნალისტობა ახალგაზრდობიდანვე მისი პროფესია გახდა, ლექსის ჟრუნველი კი ბავშვობიდანვე თანმხლები იყო და ასეც დარჩა ბოლომდე, – პოეტ ჟურნალისტად. მისი, როგორც ლექსები, ისე სტატიები და ნარკვევები ხშირად ქვეყნდება რესპუბლიკურ თუ რეგიონალურ ჟურნალ-გაზეთებში.
პოეტს ბედისწერამ საშინელი ტრაგედია არგუნა: 1986 წელს რინოსის ორი ვაჟიშვილი, ერთი უკვე ინსტიტუტში ახლადწარიცხული, 17 წლის დათო, მეორე კი საშუალო სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლე ვახტანგი, ორი უახლოეს ნათესავთან ერთად, ზღვაში დაიხრწო ანაკლიაში, ენგურის შესართავთან. ეს სახარელი უბედურება წალენჯიხის რაიონში დიდად განიცადა, მისი ექო მთელ რესპუბლიკას გადაწვდა... ოჯახი თავზარდამცემმა მწუხარებამ განადგურების პირას მიიყვანა და მამის გამოინინა შესაშური სულიერი სიმტკიცე მამამ, – ქალიშვილი ეზრდებოდათ, კვლავ ფეხზე უნდა დამდგარიყვნენ და სწორედ რინოსმა აიძულა მეუღლეც გამკლავებოდა გაუსადის ჭირ-ვარამს. თვით რინოსს ლექსებში გამოხატული ტკივილი ესაშველა უწინარესად. მისი დათოც თურმე მალულად წერდა ლექსებს. ეს ლექსები 1989 წელს ცალკე წიგნად გამოსცა მამამ: „ვინც ამ პატარა კრებულს წაიკითხავს, უსათუოდ დარწმუნდება, რომ ყმაწვილკაცის ყოველი ლექსი, თუნდაც ხორკლიანი სტრიქონები სამშობლო ქვეყნისადმი წრფელი სიყვარულით, სიკეთე-სათნოებითაა გამთბარი. იგი დილის ხალასი სიმღერაა, დილითვე შეწვეტილი...“ ეს სტრიქონებიც მამამ წაუმიძვარა დათო კვარაცხელიას წიგნს: „გაგასხენდები, როგორც სიზმარი“.
მერე, 90-იან წლებში, ვაიდემოკრატთაგან სამშობლოსადმი თავსდატეხილი უბედურების შეგრძნებამ, რინოსის მიერ მეგობრებთან ნათქვამი რომ გავიმეორთ, მისი პირადი, განუხომელი უბედურებაც კი დაჩრდილა...
ტრაგიკულმა ხვედრმა და ზოგჯერ სასოწარკვეთამდე მისულმა განცდამ ვერ გადაახვევინა რინოსს ერთხელ არჩეული გზიდან. მისი პოეზია დარჩა ადამიანის სულიერი სიწმინდისკენ, მადალზნეობრივი იდეალების ერთგულებისკენ, სიძარტის, უფლისა და მამულის სიყვარულისკენ მოწოდებად და ამასთანავე, უდიდესი სულიერი ტკივილის ამსახველად.
შენი ჭირი კვასაც ხელჩდა – უმიძიესი, საზარი, უფლის ნებით მაინც შეგრჩა სული გაუზარავი!
წერს იგი და მართლაც გაუზარავი სული შერჩა ლექსების ყველა კრებულში, ამ ტრაგედების შემდეგ რომ გამოსცა: „სევდის მწვერვალი“ (1992), „ტკივილის აფრა“ (2004). „ტკივილი ჩემი სასთუმალია“ წერს ერთგან და ვინც კი მის პოეზიას ნაზიარებია, პოეტს ამაში უთუოდ დაეთანხმება: რინოს კვარაცხელიას პოეზია ტკივილის

პოეზიაა, ოღონდ პირადულზე ამდლებული...
ახალი წიგნითაც „წრებრუნვა“ მან დაამტკიცა, რომ კვლავაც ქედუხრელი, გაუზარავი სულით დგას საქართველოს ჭეშმარიტ პატრიოტთა შორის და კვლავაც პირუთუნულად ამხელს ერის სატკივარს...
ვიგნში თავმოყრილია პოეტის მიერ ბოლო 8 წლის მანძილზე დაწერილი ლექსები და აგრეთვე საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლების, კოლეგების დიდი მადლიერებით გამსჭვალული მისადმი მიძღვნილი ლექსები, სტატიები თუ ჩანახატები. ამდენად ეს წიგნი, ათეუ გამოცემულ სხვა წიგნებთან ერთად, შეჯამებაა 80 წლისთავის კარიბჭესთან მდგარი პოეტისა (2014 წლის 24 მარტს უსრულდება) და კვლავინდებურად ასახავს მის აქტიურ ცხოვრებისეულ პოეზიას, რომ იყოს საქართველოს პოლიტიკურ-სოციალური პრობლემების ეპიკენტრში. ნათელი ხდება, რომ იგი კვლავინდებურად ერთ-ერთი ღირსეული მესვეურია შემოქმედთა იმ სახელოვანი პლეადისა, რომელმაც უკომპრომისო ბრძოლა გამოუცხადა ეროვნულ მოძრაობასა და საქართველოს ჭეშმარიტ დამოუკიდებლობას დაიბრისპირებულ მოძალადე შევარდნაძის, მერე კი ბოროტი თავნება სააკაშვილის ხელისუფლებებს და გააშთვლა მათ ირგვლივ შემოკრებილი ვაიდემოკრატების ნამდვილი სახე. არ არსებობს დღევანდელი შემოქმედისა და მოღვაწის საქმიანობის უფრო მაღალი და უფრო დიდი კრიტერიუმი, ვიდრე მამულის გადარჩენისთვის მწვავე ბრძოლაში სიძარტის ავანგარდში ყოფნა და ერის უმთავრესი საზრუნავის უდელში შებმა.
პოეტის გულზე გადაიარა წუთისოფლის დაუნდობელმა ქაზბორბადამ, მაგრამ მან შეძლო ვაჟკაცურად გამკლავებოდა მრავალ განსაცდელს და შემართებულად განაგრძო ეკლიანი გზა სიძარტის დასამკვიდრებლად. ახალ წიგნშიც საქართველოს დღევანდლობის პრობლემებია პოეტის ძირითადი საფიქრალ-საწესბარი:
მერმისზე ფიქრში დამეც თეთრად უნდა ათენო – გადაჯიშებას გიპირებენ, ფრთხილად ქართველო! „შრთხილად ქართველო!“
დღესაც მტერი ჰყავს ჩვენს ქვეყანას აურაცხელი, ბეწვზე ჰკიდია სავალალოდ მისი მერმისი, კვლავ ბრძოლა გვმართებს, ქართველებო, ბრძოლა ფიცხელი – უკვდავებისთვის! – საქართველოს უკვდავებისთვის!
„სამართველოს უკვდავებისთვის!“
„გარდების რველუციაში“ რომ საქართველოში წინა ხელისუფლებაზე უარესი დროება დაამკვიდრა, ამას მტევნებს ლექსი „ბიშური შამი“:
ღუმორეული ბრახით და ვინით, ღვთივდიდებულთა შურით და ზიზით, გაუგონარი რხით და ხინჯით, – კვარცხლებზე გმირის ასეუბა და გიჟი...
ასეთ უმსგავსობას, რასაც უნდა გამოეწვია პოეტი, კარგად წარმოაჩენს ლექსში: „ვაი სირცხვილო!“

ტანში უმეური დამივლის ელდა, რად მოგაქვავებს ყოფა უღირსი, თურქეთში გარბის ქართველი დედა, ვაი სირცხვილო! – ლუკმაპურისთვის.
ვიგნში ბევრგანაა ასახული „ნაცმოს“ ხელისუფლებით გაუბედურებული ქვეყნის შემზარავი სიმართლე:
ტყუილებს აფრქვევენ ცალცალკე ჯგუფ-ჯგუფად, დიქტატორს ხატავენ დემოკრატ შუქურად. დღისით და დამითაც გაყიდულ მთაბარში, – არ წყდება სიმღერა, ცეკვა და თამაში... ტელეეკრანებზე მასხრობენ, მღერაინ, ქართველს არწმუნებენ რომ ბედნერია...
„მონსტრის ტშაალია სამართველო“
ზეცა დაგრაგნა საშინელმა ისევ წყვილიდმა, და არგინ იცის, ცაზე სხივი როსდა იელეებს, საქართველოში ქართველობა დღენილია და შინამტრები კი მწედ უხმობენ გადამთივლებს... გამოტრეილი აქვს ხარს ვეებას ყელი უდანოდ, ვაგლახ, იმედის არ ბიბინებს არსად ჯგუფილი, დამსგავსებია ეს ქვეყანა ნამდვილ უდაბნოს – ორგულდებისგან ასე უღვთოდ გადაჯევილი.
„შათაშრო“
ამ კრებულში გრძელდება პოეტის წინა წიგნების ციკლი: „სიმბიმილის უღრანი“. უსაშველოა სვედა და დარდი ტრაგიკულად დაღუპული ვაჟიშვილების მამას რომ დაუფლებია:
დიდი ხანია არ შორდება ჩემს ცას ღრუბელი, ბალიშის ნაცვლად თავქვეში მიდევს ქვის სასთუმალი, მხოლოდ სიზმარი არის ჩემი ხშირი სტუმარი, ამო სიზმრიდან გულშემზარავ ცხადში ვბრუნდები.
და მაინც არ ნებდება პოეტი მწარე სინამდვილეს: და მაინც ვებრძვი მომრავლებულ ირგვლივ ნარ-გაგლს – ვიდრე სიკეთის გამარჯვების ხარი დარეკავს.
პოეტის ახრით დარეკა სიკეთის გამარჯვების ხარმა, როცა ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ მოვიდა: მთას უხარია, ბარს უხარია, სხვა ფერი დაპკრავს იმერამიერს, სამშობლოს ბედი თქვენ გაბარათ, დიდებით გველოთ, მრავალჯამიერ!
...
იღვა წკვარამი, ჩვენც რომ ვერეთ და ვაწვდებოდით ერთმანეთს ხშირად, ჩვენ დიდი დამე მოვიგერიეთ, უმეური ჯამის სასტიკი ქმინვა...
და კიდევ ბევრი ლექსია ახალ წიგნში ყურადღებას რომ იპყრობს, როგორც მამხილებელი სიმართლით ისე ღირსიკული უნახესი განცდებით.
„წრებრუნვას“ განხილვისას სწორედ ამის შესახებ საუბრობდნენ გამომსვლელები, ახალგამოცემული წიგნის რედაქტორი, მწ-

ერალი თამაზ ფიფია, ლიცეუმ „ქიანის“ დირექტორი ვარო კვარაცხელია, ობუჯის საჯარო სკოლის პედაგოგები მანანა კაკაჩია და ვალერი ძაძაძია, ნაკიფუს საჯარო სკოლის დირექტორი ვლადიმერ შენგულია, ჩხოროწყუს რაიონის წარმომადგენელი, პოეტი კოტე ნაჭყვია.
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „პიპა“-ს პრეზიდენტმა მამანტი ძაძაძიამ გამოსვლისას ყურადღება გაამახვილა აგრეთვე პოეტ რინოს კვარაცხელიას, როგორც ამ აკადემიის აკადემიკოსის მიერ მეგრულად შექმნილი პოეზიის საუკეთესო ნიმუშებზე, რომელთა გამოცემა უახლოეს ხანებში იგეგმება და რაც პოეტს პოპულარობას შემატებს.
პოეტის ასულმა თამარ კვარაცხელიამ გაიხსენა იუმორით შეკაზმული, მამასთან დაკავშირებული ყოფითი მოვლენები და დარბაზში მოუსვენრად მყოფი თავისი შვილიშვილი, პატარა თინათინი მიპვერა დიდ ბაბუას გულის გასახარად.
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოგა გულორდავამ აღნიშნა პოეტის შემოქმედებისა და ახალი წიგნის დიდი მნიშვნელობა და სიმბოლურ საწუქრად გადასცა მაცხოვრის ხატი.
დასასრულს პოეტმა რინოს კვარაცხელიამ გაიხსენა უმთავრესი მოვლენები თავისი ცხოვრებიდან: ინსტიტუტის დამთავრებისა, შეეძლო დედაქალაქში დარჩენა, სთავაზობდნენ სამუშაოს, მაგრამ მშობლიური რაიონისა და სოფლის მიმზიდველობამ, განსაკუთრებით კი თანასოფელი ქალიშვილის მიერ გამოცხადებულმა ნდობამ (რომელიც ბოლომდე მისი ცხოვრების ერთგული თანამგზავრი გახდა) გადააწყვეტინა რაიონში დარჩენა. ოჯახისა და პოეზიისადმი ერთგულვებამ, სიყვარულმა წარმოუდგენელი ტრაგედიაც დაძლევისა. დღეს იგი შეილისა და შვილიშვილების გარემოცვაში სიცოცხლის მადლით ხარობს...
უთუოდ სათქმელად მიგვანია, რომ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინიციატივით ჩატარებულ პოეტის ახალი წიგნის „წრებრუნვას“ განხილვაზე, სადაც სტუმრები იყვნენ ზუგდიდისა და ჩხოროწყუს რაიონებიდანაც, თვალსაჩინოდ გამოიკვეთა შეკრიბილთა დიდი სიყვარული და პატივისცემა რინოს კვარაცხელიასადმი, რასაც უფრო შთამბეჭდავს ხდოდა შემოქმედებითი საღამოს სცენარის ავტორისა და წამყვანის, სახელწოდებო-საგანმანათლებლო ცენტრის კოორდინატორის თეო კვარაცხელიას ლიტერატურული კონტაქტი, ვაუთა ვოკალური ანსამბლის „ბედინერას“ მიერ შესრულებული სიმღერები, ცნობილი ლოტბარის მურთაზ ციმინტიას ხელმძღვანელობით, – ცალკეული სოლისტებისა და დეკლამატორთა გამოსვლები, რაც ძირითადად განსახილველი წიგნის ავტორის ლექსებზე იყო დაფუძნებული.
მისასალმებელი ფაქტია მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ პოეტის შემოქმედებისადმი ასეთი გულისხმიერი დამოკიდებულება. სასურველია მომავალშიც ასე ნიშნდობლივი და ამდლებული იყოს ამაგად მოღვაწეებთან შეხვედრები, დამსახურებისაგან დასაფასებლად, როგორც რეგიონებში ისე ქვეყნის მასშტაბითაც.

თამაზ ფიფია



აღივარდა შინაგარეო პოლიტიკის

ორი სახალხო საბრძოლველი
შემოღობის ბუჯები

ვანოს – ნაცთა თემიდან
პასუხს რომ სთხოვს თემიდან,
„ცოცხოსანთა“ თემითა
განსახლებულ უხის ის;
ენაგატლეკილები
გიგი და ტიკინები
ამიტომ იკბინებით
შემოდგომის ბუჯით.

კანონის აღი-გალია

ცილისწამებით, ჩირქის მოცხებით
შემოვსია ჩვენს ხალხს „ცოცხებით“
ნაცმაცუნების ყველა ფრაქცია,
ვინც სახალხო ფარსად აქცია
დემონ-კრატების დემონ-სტრაცია
და საპროტესტო მარშის აქცია.

აუ, რამდენი კანიბალია?!
არადა, ნაცებს რა იღბალი აქვთ,
რომ სჯერათ მიხოს აღი-გალია?

დაუპიწყარ შერთა ათინათი

ახალი, 2014 წლის წინა შაბათს ქუთაისში, კათოლიკეთა იმ უბანში,
სადაც 110 წლის წინათ, 1903 წელს დაიბადა და ყრმობის წლები
გაატარა ფელიქს ვარლამიშვილმა, მისსავე სახელობის ქუჩაზე, საგ-
ამოფენო დარბაზ „ვარლამი“, მოსოფლიოსთვის ამავე ფსევდონიმით
ცნობილი გენიალური მხატვრის საიუბილეო საღამო გაიმართა.
საღამოს წარუძღვა იუბილარის მისწული, ქალბატონი ნატო ვარ-

ლამიშვილი, რომელსაც უდიდესი დედალი მიუძღვის საამაყო ბიძის
ნაწარმოებთა და მის ბიოგრაფიასთან დაკავშირებული მონაცემების
მოძიებაში.

სწორედ ამიტომ გახდა შესაძლებელი, რომ აუდიო და ვიდეო
ტექნიკის გამოყენებით საღამოს მონაწილეები გაეცენენ იუბილარის
ბავშვობისა და ყრმობის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და
სამხატვრო აკადემიაში სწავლის, აგრეთვე ემიგრაციაში ცხოვრების
ამსახველ კადრებს და მოსმინეს მისი ხმაც. იგი მხატვრის გარდაც-
ვალებამდე რამდენიმე თვით ადრე ჩაიწერა რადიოსადგურ „თავისუ-
ფლები“ ქართულენოვან გადაცემათა იმდროინდელმა მთავარმა
რედაქტორმა, საფრანგეთსა და გერმანიაში გამოშვებული ჟურნალების
„მებრძოლი საქართველოსი“, „მესამე დასის“ მთავარმა და გაზეთის
„სარკმელი საქართველოსი“ სახელმძღვანელო რედაქტორმა,
საქართველოს საპატიო მოქალაქემ, სულგანათლებულმა კარლო
ინასარიძემ.

დიდი ფერმწერის საიუბილეო საღამოზე უდიდესი მოკრძალებით
გაიხსენეს მისი უმრწამსი ძმა, ცნობილი პედაგოგი და საზოგადო
მოდგაწე ვანო ვარლამიშვილიც. აღინიშნა, რომ საფრანგეთში,
„იუნესკოს“ გვიდით 1996-ის მაისში გამართული „ქუთაისის დღეების“
მიმდინარეობისას, ქართველ ემიგრანტთა ლევილის სასაფლაოზე,

მხატვრის სამუდამო განსახლებაზე გვირგვინით შემოკობის დროს,
ივანე ვარლამიშვილს ქალაქის იმდროინდელმა თავაჯცამ, ბატონმა
თემურ შაშიაშვილმა ქუთაისის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭება
მიულოცა და სათანადო დოკუმენტაციაც იქვე გადასცა.

დაუვიწყარ ფერთა ათინათი, რომელიც „ვარლამი“ საიუბილეო
საღამოზე იგარძნობოდა, იმის თვალნათლივი დასტურია, რომ შთამო-
მავლობა ცდილობს, დაევიწყოს ბურუსს გამოსტაცოს თითოეული
ჩვენი სახელოვანი თანამემამულე, რომელსაც საბჭოური რკინის
ფარდის გამო ფაქტობრივად არც კი ვიცნობდით.

ა.ლ. შინაგალია

რატომ ჩავარდა თბილისის ბიუჯეტი ანუ საფრთხეები თბილისისთვის თუ „ნაციონალური მოძრაობისთვის“

ქალაქ თბილისის მერი გიგი უგულავა
რომ ქალაქის ბიუჯეტს ისე უყურებდა, რო-
გორც საკუთარ ქისას, ეს უკვე გამოძიების
მასალებითაც დასტურდება. მიუხედავად
იმისა, რომ ეს შუბლისმარღვევად
ნაციონალი იხტობარს არ იტყვავს და მისი
კანონსაწინააღმდეგო მოქმედებების
გამოააშკარავებს პოლიტიკურ დევნად
ასაღებს, კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე,
რომ ნაციონალურ კიდევ ოცი წელიწადი
მანაც აქონდათ განზრახული ხელისუ-
ფლების სათავეში ყოფნა, რა დროსაც
ისინი მოასწრებდნენ ყველა ჩადენილი
დანაშაულის კვალის დაფარვას, მაგრამ,
მათდა საუბედუროს, ვერ მოასწრეს, რაც
თავისთავად მეტყველებს, რომ სააკაშვილისა
და მისი ამფსონების პოლიტიკური და
ეკონომიკური „კურსი“ გახლდათ
წინასწარდაგეგმილი სისტემური დანაშაული,
რისთვისაც მათ პასუხისგება მოუწევთ!
ყველაფერს რომ თავი გაგანებოთ, გიგი
უგულავას მოუწევს კონკრეტული პასუხი
გასცეს გამოძიების მიერ დასმულ თუნდაც
ასეთ „მარტივ შეკითხვებს“:

– რატომ გაემგზავრა იგი (მეუღლესთან
ერთად!!!) მივლინებით ამერიკის შეერთე-
ბული შტატების ქალაქ ლას-ვეგასში სხ-
ვადასხვა ტექნიკის შესაძენად, მაშინ, როცა
ამერიკის ამ ქალაქში მხოლოდ კაზინოები
და სხვადასხვა ტიპის სათამაშო სახეობია
განთავსებული და იქ არაერთი საქმიანი
მოლაპარაკებები არ იმართება ხოლმე?!

– სად მიდიოდა „სიტო-პარკის“ მიერ
საქართველოს მოქალაქეებისაგან მიღებული
მილიონობით თანხა (ყოველი მანქანის
მფლობელი ვალდებულია წინასწარ გადაიხ-
ადოს მანქანის პარკირების სახლური –
50 ლარი), მაშინ, როცა ამ უწყების ინფორ-
მაციით თბილისში ავტომანქანების რიცხვი
50.000-ს არ აჭარბებს, მაშინ, როცა დოკუ-
მენტურად დამტკიცებულია, რომ თბილისში
მინიმუმ ნახევარ მილიონამდე სატრანს-
პორტო საშუალებაა აღრიცხული?!

– რატომ მოხდა, რომ ქალაქის მერიამ
რეის ტერიტორიის ნაწილი თვითდა 7
მილიონ ლარად, რამდენიმე თვის შემდეგ
კი იგივე მიწის ნაკვეთი გამოიყიდა 17
მილიონ ლარად და სად წავიდა ეს ზედ-
მეტად გადახდილი თანხა?!

ყოველივე ამასთან დაკავშირებით გთავა-
ზობთ თბილისის საკრებულოს წევრის
ზაზა ბაბუნიას განმარტებას იმის თაობაზე,
თუ რატომ ჩავარდა თბილისის 2014 წლის
ბიუჯეტი.

2010 წლიდან ანუ მას შემდეგ რაც თბილ-
ისის საკრებულოს წევრი გახდით, საკრებუ-
ლოში მერიას შემოქმედდა ბიუჯეტის პროე-
ქტები, რომელიც შეიცავდა უდიდეს შესაძლე-
ბლობას საბიუჯეტო ფულის პარტიული ამო-
ცანებისთვის ხარჯვის, რასაც აკეთებდა კიდევ
და ეს ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტურმა
უმრავლესობამ იცის. რა თქმა უნდა, ეს იყო
ერთ-ერთი მთავარი მიზეზი რის გამოც მე
არცერთ შემოთავაზებულ ბიუჯეტს მხარს
არ ვუჭერდი.

ამა წლის 10 დეკემბერს, მერიამ შემოიტანა
2014 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც აბ-
სოლუტურად იდენტურია იმისა, რაც წინა
წლებში იყო. ამის გამო ბიუჯეტის ხსენებულმა
პროექტმა საკრებულოს მხარდაჭერა ვერ
მოიპოვა.

ახლა განვმარტავ იმას თუ რატომ არ
დაუჭირეთ მე და ჩემმა კოლეგებმა მხარი
ბიუჯეტს:

1. ბიუჯეტის პროექტი შეიცავდა პოლი-
ტიკური კორუფციის მაღალ რისკებს და
თანხების 2014 (საარჩევნო) წელს პარტიული
ამოცანებისთვის ხარჯვის საფრთხეს.

მაგალითად, იყო მცდელობა ბიუჯეტს გაე-
გრძელებინა გიგი უგულავას პარტიული მეგო-
ბრების, ყოფილი მაღალჩინოსნების და ფი-
ნანსება, მოვლი რიგი მუხლები იყო გაუმჭვირ-
ვალე (მაგ: მუხლი: 1.2; მუხლი 6.2.11; მუხლი
6.2.18; 6.2.20), რაც ფულის არამიზნობრივად
ხარჯვის შანსს აძლევდა მერიას.

2. ბიუჯეტი არ არის ორიენტირებული მო-
ქალაქეების სოციალურ ინტერესებზე. მოიყვან
ერთ და ყველაზე ცხად მაგალითს. ყველაზე
მოწყვლადი ჯგუფისთვის, რომელსაც უს-
ახლკაროები წარმოადგენენ, ბიუჯეტის პროე-
ქტში იყო 300 000 (სამასი ათასი) ლარი,
ხოლო სატელევიზიო ანდის განათებისთვის,
500 000 (ხუთასი ათასი) ლარი. ეს იმ ფონზე,
როცა მე შევთავაზე მერიას, რომ 2014 წელი
თბილისში უსახლკარობასთან ბრძოლის წლად
გამოცხადებულიყო. ვფიქრობ მოტიანილი მაგ-
ალითი ნათლად აჩვენებს რამდენად არიან
მართლები მერიის ხელმძღვანელები, როცა
ამბობენ, რომ პროექტი სოციალურად ორიენ-
ტირებული იყო.

რაც შეეხება ტყუილებს. ამ საკითხთან
დაკავშირებით უნდა შევხებოთ კიდევ ერთ
სიცრუეს, რომელსაც ნაციონალური მოძრაობა
ავრცელებს, რომ თითქოს ბიუჯეტის ჩავარდნით
საფრთხე ექმნება მოსახლეობის ინტერესებს.

ერთია რას ამბობს „ნაციონალური მოძრაო-
ბა“, მაგრამ მეორეა რას ამბობს საბიუჯეტო
კოდექსი, რომლის 78-ე მუხლის მე-7 პუნქტი
აღვებს, რომ იმ შემთხვევაში თუ წარმომად-
გენლობითი ორგანო უნდა დადგინდეს გამოსუცხ-
ადებს ბიუჯეტს, ასეთ შემთხვევაში აღმას-
რულებელ უწყებას აქვს უფლება, რომ წინა
წლის (ამ შემთხვევაში 2013 წლის) ასეგნებების

1/12 დახარჯოს ანუ უფრო მარტივად რომ
ვთქვათ, თბილისის მერიას შემდეგი ერთი
თვის მანძილზე ექნება 60 მილიონ ლარამდე,
რომ უზრუნველყოს ყველა პროგრამა, მათ
შორის ვაუნერების გაცემა და სხვა. არ
ექნება საფრთხე არც ოლიმპიური სოფლის
პროექტს, რადგან ამ თვის შუა რიცხვებში ამ
საქმისთვის გადარიცხულია 15 მილიონი ლარი,
რისი ათვისებაც სწორედ მომდევნო თვეებში
უნდა მოხდეს.

მაგრამ ყოფილი მმართველი პარტიის განცხ-
ადებები უკავშირდება არა საზოგადოებრივ
საფრთხეებს, რომელიც არ არსებობს, არამედ
საფრთხეებს, რომელიც შეიძლება მათ პარტიას
შექმენას, რადგან მათი შემოღობების მიზეზი
ის გახლავთ, რომ ბიუჯეტის პროექტისადმი
მხარდაჭერის არ გამოცხადებით მოიხსნა
რისკები ბიუჯეტიდან „ნაციონალური მოძრაო-
ბის“ მიერ პარტიული მიზნებისთვის თანხების
ხარჯვის.

სხვათა შორის, საფრთხეებთან დაკავშირებით
„ნაციონალური მოძრაობის“ მიერ გავრცელებ-
ული განცხადების გვერდით კიდევ ერთი
უსუსური ტყუილი გამახსენდა, რომელიც
იგივე გუნდის აწ უკვე არაფორმალურ ლიდერს
ეკუთვნის. კერძოდ, გიგი უგულავას უთქვამს,
რომ სასამართლოს მიერ შეფარდებული გი-
რანოს გადასახდელად, სახლის დაგირავება
მომიწვევს...

მოდით ახლა ისიც ვთქვათ, რა უნდა გააკ-
თოს მერიამ იმისთვის, რომ ბიუჯეტი დამტ-
კიცდეს. პირველ რიგში გაიმიზნოს ყველა
გაუმჭვირვალე მუხლი, გაუმჭიდვს სამეთვალ-
ფურეო საბჭოების, სადაც წინა ხელისუ-
ფლების მინისტრები და პარლამენტარები
არაფერში იღებენ ხელფასს, გაიზარდოს უს-
ახლკაროთათვის და სხვა სოციალური
ჯგუფებისთვის თანხების ოდენობა, ასეთ
შემთხვევაში შეგვეძლება ვთქვათ რომ ბიუ-
ჯეტი პარტიული საფულისაგან, ქალაქის მთავარ
ფინანსურ დოკუმენტად გადაიტყვევს, ასეთ
შემთხვევაში დიდი სიამოვნებით გამოვუცხ-
ადებთ ნდობას და ყველა მნიშვნელოვან
წამოწყებას.

საპ. ივზ.

პოეზიის კუთხე ხმა მერისა

იმ საბჭოთა ეპოქაშიც
მრავლად იყო დიდი პესი,
შესაშური მონღოლებით
ააშენეს ენგურ-პესი,
მაგრამ ენგურს ვინ დაჯერდა?
კლდე-ღრეს აპყვენ მადლა
მთებში

და სვანეთში წამოიწყეს
აშენება ხულონ-პესის,
ეროვნული თვითშეგნება
რომ გადვიდა ქართველ ერში,
ვერა და ვერ მოიყვანეს
„დიდი საქმე“ სისრულეში.
არაფორმალ ლიდერთაგან
ყველამ სიტყვა აღიმადლა
ეროვნული მოძრაობის
რომ ახვირთდა დიდი ტალღა
მითი უძლეველობისა
დაიმსხვრა და დასამარდა.
...და შეჩერდა ხულონ-პესი,
რადგან ქუხდა ხმა ერისა,
კომპარტიის წამოწყებას
გაგრძელება არ ეღირსა.
დღეს მავანნი ოცნებობენ–
„გააცოცხლონ“ –
მკვდრად შობილი ხულონ-პესი,
რჩევა არის მოყვასთაგან:
ნუ ჩაიგდებთ თავს საფრთხეში,
და თუ მაინც დაიფინებთ
მოგისვრიან სანაგვეში!

იოსებ ზუბელო

მალმარო, მარბალევი

ჯერ აფხაზებს გადაუვლით,
დაებრუნდებით და დედას
მოგ-თ, მეგრელებო!

მხედრობაში რსძინი

ლიმას ქომოლობა ოკო,
ლიმას ოკო დიდი ნაბლა,
ლიმას გერგეზეფი ოკო,
ლაღსუ ლიმა ვადგანბალათ...

ქიგიფინათ, მალმარო
მამულეშქეფიში ცქეფაფა,
ლეკურიში მორქია დო
ცხენ-კიდირით ეკონთაფა...

გაარწყეთო, გვალო მაფნა
დუღა მინოლუაფირი,
მარგალ დიხას ქითოღვასე
ზურა, რაკვალ ელაფირი...

მალმარო მალართითე,
მიღვას აბას ბოშიშ გური,
ზოხო-ზოხო ვექიმინე
ოქიმნალი ოცქეაფური...

ჩქი – მარგალემს მითინწყუმა
დანდურაფალ ვემეშქონა,
კონ მოკონა, ნამსით უქქე
მოლიმეფიშ ეწოჯღონა...

მუჟამს ართო ქიპითენი
ჩქიმდა მითინს ვეწარინე,
ართო ეკიბკათუთენი
თენეფს განთხშა ვეგარინე...

აბა, არმაქ გეხაზირთი,
მალმარო, მალმარო,
გურმანგარო ქიგებდირთათ
ომარგალემს მათხილარო!

რამაზ კუპრა

ჯალალონია-ჯალალანიების გვარის დალოცვა
2014 წლის 25 მაისს საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია II
დალოცავს **ჯალალონია-ჯალალანიების** გვარს. ამისთვის აუცილებელია
საკვარეულო ხატის ერთობლივად დაწერა (დახატვა). რისთვისაც **“ლიბერთი
ბანკში”** გახსნილია ანგარიში. **მფო 220101480 ანბ. №GE44LB0711101664171640**
(როლანდ ჯალალანიას სახელზე). მნიშვნელოვანია, ყველა ჯალალონია-
ჯალალანიამ მიიღოს მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში და შესაძლებლობის
ფარგლებში ჩარიცხონ ნებისმიერი თანხა. დეტალების დასახუტებლად შე-
გიძლიათ დარეკოთ ნომერზე: **599-57-33-22, 597-34-43-70 – როლანდ ჯალალა-
ნია).**



იბერიული ენა და საზოგადოების სრულყოფის პრობლემა

წელის ღრმა ჭა, ხიდრმის სიმბოლოა, საიდანაც სიცოცხლის წყარო მოიპოვება. სიტყვა ჭარა (წერა) ნაწარმოებია სიტყვათა კომპოზიტიდან ჭ, რე-ჭა რე (სიღრმე არის) -> ჭა რა. ჭ ბგერის აღმნიშვნელი ასონიშნის (ჭ), სახელდებით ჭარ, ქარაგმა-გახსნილ მდგომარეობაში „ჭ,ლ ადამიანიში“ რ[ინაში] (სიღრმე ადამიანის არსებობისა), გრაფიკულ მოხაზულობაში, ჩვენნი აზრით, ხაზგასმულია შემოქმედის ჩანაფიქრის საბოლოო მიზანი: თავისი უდიდესი ქმნილების, სამყაროს გვირგვინის - ადამიანის შერწყმა მარადიულობასთან. ასონიშნის (ჭ) გრაფიკული მოხაზულობა უსასრულობის ნიშანია.

6. ბგერა-სიტყვა წ, დღეს იხმარება ორი მნიშვნელობით: ა) წ, (მიმდინარე წელი); ბ) წ, (წოვა). მაგ., „ჩქ,ჩქ,ქ ძუძუ გე-წ.“ (ჩვილამ ძუძუ მო-წოვა).

წოვა, საკვების მიღება ხორციელი ადამიანისათვის აუცილებელი და ბუნებრივი, მაგრამ ფიზიკური არაწმინდა ძალთა თვისებაა ადამიანში. მზე მუდმივად აფრქვევს დედამიწას სასიცოცხლო ძალას, მაგრამ მიღებულ ძალას დედამიწა გასცემს. ხოლო ადამიანი წოვს, იღებს თავისთვის. მისი გარდაქმნა ალტრუისტულ თვისებად, შეუძლებელია, მაგრამ, თუ ადამიანი წოვს, ისრუტავს ღვთიურ სიბრძნეს, მის კანონ-ზომიერებებს და ამ კანონზომიერებებთან პარმონიაში ცდილობს გაატაროს თავისი ცხოვრება, ამასთან, სიხარულით გასცემს შექმნილ ცოდნას და სიბრძნეს, მაშინ აღსრულდება დიდი შოთა რუსთაველის შეგონება: „რასაცა გასცემ შენია, რას არა დაკარგულია“.

ამდენად დიდად, ამდენად ამამაღლებელია და სასარგებლო შემოქმედთან თანამშრომლობა. ე.ი. სიტყვაში წოვა დევს ადამიანში არსებული ურთიერთ საწინააღმდეგო თვისებები.

7. ბგერა-სიტყვა ძ, იხმარება შემდეგი მნიშვნელობებით: ა) ძვეს (დევს), უმოდრაოდ; ბ) ძოვა. მაგ., „ჩხოუ მინდორც ძ, -ნც“ (ძროხა მინდორზე ძოვ-ს), მსგავსად სიტყვებისა თ, -ნც (თოვ-ს), წ, -ნც (წოვ-ს) და ა.შ. ძვეს (დევს), ზოგადად, დება უმოდრაობის სიმბოლოა და უსულს საგანთა თვისებაა, ძოვა, კიდევ, ცხოველური. თუ ადამიანი ამ თვისებათა მატარებელია, ის მკვდართ მიეკუთვნება და არათუ გარემოცვისთვის სარგებლის მოტანა, საკუთარი თავის პირდაპირი მტერია.

მაგრამ ამ (დების) თვისების გარეშე, ვერ იარსებებდა სამყარო, რადგან იქნებოდა ქაოსი და არ იქნებოდა სიცოცხლე. ე.ი. არსებობს ურთიერთსაწინააღმდეგო, მაგრამ შემოქმედისთვის არ არსებობს უარყოფითი თვისება.

ძ ბგერის აღმნიშვნელი ასონიშნის (ძ), სახელდებით ძილ, ქარაგმაგახსნილ მდგომარეობაში „ძ, ნელა [მი]ლ[.]“ (უმოდრაოდ მოვლო), გრაფიკულ მოხაზულობაში მრგვალი ნაწილი ვერტიკალური ხაზით, უსასრულოდ მოძრაობის სიმბოლოა, ხოლო მარჯვნივ გამოსული ტეხილი ხაზი - უმოდრაობისა. ე.ი. ასონიშნის გრაფიკული მოხაზულობაში და სახელდებაში უმოდრაოდ მოძრაობაა განსახიერებელი. ეს უაზრობაა, თუ ასეთს ნამდვილად აქვს სამყაროში ადგილი?

დედამიწის ზედაპირზე, ეკვატორთან აბსოლუტურად უძრავად დამაგრებული საგანი მოძრაობს დედამიწის დერძის გარეშემო 465 მ/წმ ხაზოვანი სიჩქარით, 30 კმ/წმ სიჩქარით - დედამიწასთან ერთად მზის გარშემო, ხოლო 240 კმ/წმ სიჩქარით - მზესთან ერთად გალაქტიკის გარშემო.

ამდენად „უმოდრაოდ მოძრაობა“ სრულიად რეალური მოვლენაა ადამიანის წარმოდგენაში.

8. ბგერა-სიტყვა ც, დღევანდელი მდგომარეობით იხმარება სამი მნიშვნელობით: ა) ც, - ხის ერთ-ერთი ჯიშში; ბ) სცა. მაგ., „მარდიანი ხალხიქ მუნეფიში დუღკონის ღირსეული პატი ც,“ (მადლიერმა ხალხმა თავიანთ თავკაცს ღირსეული პატივი სცა); გ) სცემა. მაგ., „ჟორის ცხენმა ვამარიებუ დო ონანგერი ც,“ (კაცმა ცხენი ვერ დაიმორჩილა და უნაგირი სცემა).

როგორც ვხედავთ, სიტყვას ც, მეგრულში (იბერიულში) ურთიერთსაწინააღმდეგო

მნიშვნელობა აქვს, რაც ადამიანთა თვისებაა. პატივისცემა, პატივის მიგება დადებითი, ადამიანის ღირსების გამოხმატველი თვისებაა, ცემა კი მისი საწინააღმდეგო, უარყოფითი, ველური ცხოველისა.

ც ბგერის აღმნიშვნელი ასონიშნის (ც), სახელდებით ცან, ქარაგმაგახსნილ მდგომარეობაში „ციცინათი ან[ც]“ (ციცინათელა ცაში), გამოხაზულია ასტრონომიაში კარგად ცნობილი ცეციეიდები - ვარსკვლავები, რომელიც ციცინათელაზე ით პერიოდულად გამოხდებიან სილმე, ციცინათელასავით გაანათებენ, შემდეგ ნელა ჩაქრებიან. განათების პერიოდი 5,4 დღე-ღამეა. ეს ვარსკვლავები შედარებით სწრაფად გაანათებენ, შემდეგ ნელა ჩაქრებიან მსგავსად ციცინათელასი. ამიტომ ცეციეიდებს სამყაროს შექმნის შეარქვეს. ასონიშნის წრიული მოხაზულობა ვარსკვლავის იდუგებაა, რომლის შიგნით სინათლის მძლავრი წყაროა მოთავსებული და ერთმხარეზე კარი გაანათა. კარის ჩქარა გაღებით სინათლის წყარო გამოანათებს, ნელა დახურვით კი ჩაქრება მსგავსად ციცინათელასი.

9. ბგერა-სიტყვა ჩ, მეგრულ (იბერიულ) ენაზე მე-3 პირის ზმნა და ნიშნავს აჭამა-ს, კვება-ს ამასთან, ჩ, გახმოვანების შემდეგ ჩა გაცემასაც ნიშნავს. მაგ., მე-ჩა (მისცემ), გო-ჩა (გასცემ). მშვიერი ადამიანის დაპურება, უდავოდ, კეთილი და ღვთიური საქმეა, მაგრამ ყოველთვის როდია სიკეთე უქნარას, ხორცმეცის მუდმივი კვება მანებუ-ლია თვით უქნარასთვის და საზოგადოებისთვისაც. ჭეშმარიტი სიკეთე სულიერი პურით - ღვთიური ნათელით კვებაა. აჭამა, კვება ზოგადი მცნებაა და, შეიძლება, როგორც ღვთიური ნათელით, ასევე სატანური სიბნელეთაც. ამდენად, ადამიანის ამ თვისებაში სიკეთეცაა და ბოროტებაც, დადებითიცაა და უარყოფითიც, წმინდაცაა და არაწმინდა ძალაც, რაც შემოქმედისგანაა დაშვებული ისევე ადამიანის ზრდისათვის.

ჩ ბგერის აღმნიშვნელი ასონიშნის (ჩ), სახელდებით ჩინ, ქარაგმაგახსნილ მდგომარეობაში „ჩ, [.] იქ [ნ, თ]“ (კვება მან წყაროთი სიცოცხლისა, სადაც ნ, - წყალია, წყარო სიცოცხლისა), გრაფიკულ მოხაზულობაში ზევიდას სიმაღლის შუაში დაშვებული ვერტიკალური ხაზი ღვთიური ნათელის გამტარი წმინდა ჭურჭელი უნდა იყოს, ხოლო სიმაღლის ქვედა ნახევარზე განშტოვებული ამ ნათელის მიმღები ჭურჭლები, ანუ გამოსაკვები ინდივიდები.

10. „წარსდგა შემოქმედის წინაშე ასონიშანი შინ (კბილი, კვ) და თქვა: <<სამყაროს შემქმნელი, მე მესგავსება სამყაროს შემქმნა, იმიტომ, რომ ჩემით იწვევა შენი სახელი შადაი>>. უთხრა მას შემოქმედმა: <<თუცა კარგი ხარ, ღამაში და მართალი, მაგრამ რამდენად ნიშან-თვისებებმა სიტყვისა შეკერ (სიცრუე) აუიყვანეს შენ, რომ იყო მათთან, არ შემიძლია მე შენი თვისებებით შექმნა სამყარო, რამდენადაც სიცრუე არსებობს იმის წყალობით, რომ ასოებმა ქოფ-მა და რეშ-მა აუიყვანეს შენ>> (იქვე გვ. 315).

„... სამყაროს და მის მაცხოვრებლებს არსებობა შეუძლიათ მხოლოდ შინ-ის დახმარებით, მისი თვისების წყალობით, რომელიც საზღვრავს ნათელის გავრცელებას. თქვა შემოქმედმა: <<შეჩერდი ქმნილებზე, ასონიშანი შინ-სე და არ გავრცელდე მეტი ასონიშან ტეა-ამდე>> იმიტომ, რომ თუ ნათელი გავრცელდება ასონიშან ტეა-ამდე, მაშინ არაწმინდა სურვილები მიიღებდნენ ისეთ ძალას, რომ ადამიანი ვერაფრით გამოვიდოდა მისგან, ვერ მიაღწევდა და ვერ შეიძენდა ალტრუისტულ თვისებებს“ (იქვე, გვ. 317).

ებრაული ბრძენის აზრით, პირველი სამი ასონიშანი: ა(ა) - ალფ, ბ(ბ) - ბეთ და გ(გ) - გიმელ შეესაბამებიან სრულყოფილი ადამიანის თვისებებს - უმაღლესი ნათელი (ქეთერი), სიბრძნის ნათელი (პოჰმა) და გულმოწყალების ნათელი (ბინა) და იწოდება სულერი ობიექტის თავად (როშ), ხოლო ასონიშნები დ(დ) - დალეთ, ე(ე) - პეი, ი(ი) - ვეი, ზ(ზ) - ზაინ, ნ(ნ) - პეთ და თ(თ) - თეტ მიეკუთვნებიან ტანს „ტანი ღებულობს მხოლოდ იმას, რაც ჩამოდის მასში თავიდან. ამიტომ დალეთს საწვის

ასონიშანს ტანისა, რომლის გავლით ტანი ღებულობს ნათელს თავიდან, ეწოდება გაძარცული და ღარიბი (<<დალა ვე ანია>>). დალეთი ღებულობს იმას, რასაც გიმელი აძლევს მას. რამდენადაც გიმელს აქვს გულმოწყალების ნათელი, იმდენად ჩამოდის ის დალეთში.

ხოლო ასონიშან გიმელს ეწოდება შემქმნელი გულმოწყალება მისი მოქმედების გამო დალეთის მიმართ, რომლის გარეშე იგი საერთოდ მოკლებული იქნებოდა ნათელს. გამომქვევებელი მარჯვენა მახვილი კუთხე ასონიშან დალეთში არის ნიშანი იმისა, რომ დალეთს აქვს მარაგში გულმოწყალების ნათელი (?). მაგრამ წმინდა ალტრუისტულის საპირისპიროდ ქმნილებას აქვს არაწმინდა ნაწილი, ამაყად არამსურველი მიღებისა გიმელისგან, რომელსაც დამოკიდებულება იგი. ხოლო აღდგება სურვილი თვითონ იყოს სათავეში, რომლისგანაც იშლება ასონიშან დ(დ) - დალეთში მახვილი კუთხე, მეტყველი გულმოწყალების ნათელის არსებობაზე და გარდაიქმნება ასონიშანში რ(რ) - რეში, რომელიც იწერება და გამოითქმება ორი ასონიშნით რეში და ში-ი.

... როცა მდაბალი, ე.ი. ადამიანები ცდებიან თავიანთ მოქმედებებში, ანუ განზრახვებში, ამით ისინი აძლევენ ძალას არაწმინდა ძალებს შეიწოვოს წმინდა ძალები დალეთისგან. წაშლის მისი მახვილი კუთხე და გარდაქმნას იგი ასონიშან რეში და ამით სიტყვიდან აპად (ერთი) გადადის სიტყვაში აპერ (სხვა, არააქაური, სხვისი): ალფ-პერ-დალეთ (აპად) შეიცვალა სიტყვით ალფ-პერ-რეში (აპერ), რითაც შემოქმედთან კავშირის ადგილზე ჩნდება სხვასთან, არაწმინდა ძალებთან კავშირი, რომელთაც ეწოდება <<სხვა ღმერთები>>, რომლებიც უმაღლეს წმინდა სამყაროდან უმდაბლეს სამყაროსთან და ქმნილებასთან მიიწოვებიან (აღსანიშნავია, რომ იბერიულ ენაში გ ბგერას აქვს უნარი დაუპირისპირდეს სხვა თანხმობან ბგერებს და ამით შეასრულოს სიტყვათგანმასხვავებლის ფუნქცია, კვ).

ამას მივეყვართ დასკვნამდე, რომ ასონიშნები ქოფ და რეში ამახინჯებენ შემოქმედის ბუკვალს შინ, ჭეშმარიტების ასონიშნის. ხდებოდა წყაროებზე არაწმინდა ძალების გაჩენისა და განვითარებისა. ამიტომ როგორც კი არაწმინდა ძალები შეუკეთდებიან წმინდა ძალებს, ისინი იწოდებიან ცრუ, გარდაქმნილ ასონიშნებად (თვისებებად, კვ), რომელთა მიზანია მოსპონ წმინდა ძალების სისტემა და მათი ერთიანობა შემოქმედთან, რომ შეიქმნან თვითონ დანგრეული წმინდა ძალებისგან“ (იქვე, გვ. 319-120).

ამ ვრცელ ტექსტში ჩამოყალიბებული აზრის გაცნობიერების შემდეგ მკითხველს აუცილებლად გაუნდება კითხვები: რა თვისება გაანათა ასონიშან შ (შ)-ს, სახელდებით შინ-ს ისეთი, რომელიც „საზღვრავს ნათელის გავრცელებას და მხოლოდ მისი დახმარებითა და წყალობით შეუძლია სამყაროს და მის მაცხოვრებლებს არსებობა?“ რა თვისებაა ის თვისება, რომელიც ზემდგომი საფეხურებიდან იღებს გარკვეული დოზით უმაღლეს ნათელს, ხოლო ქვემდებარე საფეხურზე მდგომთ გასცემს მხოლოდ იმ დოზით, იმდენ წმინდა ძალას, რომელიც აუცილებელია მათი, საერთოდ, არსებობისათვის?

ამ კითხვებზე დამაჯერებელი პასუხი ებრაელი ბრძენის ნააზრევში ვერ ვიპოვეთ. გვეჩვენება, რომ ის რაღაც ჭეშმარიტებას მალავს და ალფორიული ხერხებით ცდილობს მკითხველის ყურადღება გადაიტანოს სხვა სიღრმეებში და მისი აზრი და ფიქრები, როგორც იტყვიან, გააბასობობას ქსელში, მაშინ, როდესაც ბევრად მარტივად შეიძლებოდა ჭეშმარიტების სიღრმეებში წვდომა, მაგრამ ებრაელ ბრძენთ ხელს უშლის ქრისტეს და ახალი აღთქმის აუღიარებლობა, შეუცნობლობა იმ ჭეშმარიტებისა, რომ „არაფერია დაფარული, რომელიც არ გაცხადდება და საიდუმლო, რომელიც არ შეიტყობა“.

პირდაპირ რომ ვთქვათ, არ მეჩვენება, რომ ებრაელ ბრძენს აღნიშნული ნაშრომის შესაქმნელად გამოყენებული აქვს უიყე-

ლესი იბერიული სიბრძნის წიგნი „ეფუთი“, რომელშიც შეუძლებელია არ ყოფილიყო დაფიქსირებული იბერიული ენის შეუდარებელი გამოხმახველობითი შესაძლებლობა, ცალკეული ბგერა-სიტყვების ღვთიური წარმოშობა, მისი სულიერი ძალა და უნიკალური მონაცემები, რომელიც მხოლოდ მას, და ერთადერთს აქვს შემინახული დედამიწაზე.

ე.წ. მეგრულ (იბერიულ) ენაში დღეისათვის ბგერა-სიტყვა შ, გამოიყენება სამი მნიშვნელობით (შეიძლება ზეობის ხანაში მეტი მნიშვნელობებიც ჰქონოდა, მაგრამ საერთაშორისო ენის ფუნქციის დაკარგვისა და დაწინაურების შემდეგ დაეკარგა კიდევ: ა) სველი; ბ) ქსოვა (მესამე პირის ზმნა) მაგ., „დედაქ ხეშოთამანეფი დომი-შ,“ (დედამ სელთათმანები მომი-ქსოვა); და გ) ახსოვს მაგ., „ეშში ბადანობა არბას შ,“ (თავისი ბავშვობა ყველას ახსოვს) (მესამე პირის ზმნა), ზოგადად, სხოვნა (შ, ნა), მესხიერება. უმთავრესია უკანასკნელი. ესაა ერთადერთი და მხოლოდ ის თვისება, რომელითაც ადამიანი ემსგავსება უზენაეს შემოქმედს; ესაა ის თვისება, რომლის წყალობითა და განვითარების დონით განისაზღვრება ნათელის გავრცელების დოზა გარემოცველ საზოგადოებაში, თვით საზოგადოების და, საერთოდ, სამყაროს არსებობა, რამეთუ მესხიერების გარეშე ველური ცხოველი ვერ გახდებოდა ადამიანი - გვირგვინი სამყაროს და ვერც სამყარო და ვერც მისი შემოქმედი იარსებებდა ადამიანის გარეშე, რადგან ვერავინ და ვერაფერი გააცნობიერებდა მათს არსებობას.

ებრაულ ასონიშანში შ (შ), სახელდებით შინ (კბილი), ვერც გრაფიკული მოხაზულობა ასონიშნისა და ვერც მისი სახელდება ავლენს დამაჯერებლად ადამიანის ზემოთ აღნიშნულ თვისებას, ხოლო იბერიულ ასომთავრულ ნიშანში

(შ), სახელდებით შინ (შ,) ი[ნა] [ა] ნ[ც] = ახსოვს ის სამყაროს), დიდი წრე - უზენაესი შემოქმედის ფიზიკური გამოვლინებაა - უსასრულო და უსაზღვრო სამყაროა, პატარა წრე - დედამიწაა, სადაც ხორციელდება შემოქმედის ჩანაფიქრი, ვერტიკალური ხაზი კი უზენაეს შემოქმედსა და ქმნილებას შორის კავშირია.

ფიქრობთ აქ, შეიძლება, არასრულყოფილად, მაგრამ გარკვეულწილად მაინც გავვეით პასუხი ზემოთ დასმულ კითხვებს.

ის ჭეშმარიტება, რომ ადამიანი არაა სრულყოფილი, მაგრამ ზრდის პროცესშია, აშკარავდება მისი იმ თვისებით, რომ მას ახსოვს (შ,) სასარგებლო, სულიერად ამაღლებელი ეპიზოდები, მაგრამ, ამასთან ახსოვს (შ,) მისი საწინააღმდეგო, დაცემისა და დამცირების მწარე მომენტებიც, რომელთა გაკვეთილად გამოყენებისა და, შემდგომ, ახალი სიმაღლეების დაძლევისათვის დწვაში იხრდება ადამიანი.

რაბი ამონა-საბას ასონიშანთა გრაფიკულ მოხაზულობებში, მათს მსგავსება განსხვავებებში, ასონიშანში ხაზის მონაკვეთთა ფორმებსა და მიმართულებებში ადამიანთა წმინდა და არაწმინდა ძალების, მათი სულიერი თვისებების ურთიერთსაწინააღმდეგო ბრძოლის მომენტების ჩვენების ცდაა ჩადებული და, შემოქმედი კი არა (შემოქმედს ამისთვის ნამდვილად არ ეცალა), თვითონ ამონა-საბა გატაცებულია ასონიშნებთან თამაშით, რაც, თავის მხრივ, მაღალ განვითარებას და გონების მაქსიმალურად დამაბვას მოითხოვდა, მაგრამ ამ ფორმით ადამიანთა სულიერი ზრდა, ფიქრობთ, ნაკლებ ეფექტანია, ვიდრე ეს ადამიანურ თვისებათა უშუალო შეპირისპირებითა, გაანალიზებითა და რაციონალური მართვითაა შესაძლებელი.

კუპური ფიფია, „ფაზისისა“ და „იას“ საერთაშორისო აკადემიების წევრი, კოლხური კულტურული მემკვიდრეობის კვლევის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი

ღია წერილი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უფინდუსსა და უნეტარუსს ილია II-ს, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმინდა სინოდს

ქართველი ერისათვის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებით, ცნობილია, რომ 2013 წლის 7 ივლისს, წმიდა იოანე ნათლისმცემლის შობის დღეს, თბილისში, დაარსდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას კანონიერი, ლეგიტიმური, კონსტიტუციური ხელისუფლების - უზენაესი საბჭოს აღდგენის ეროვნული კომიტეტი, რომლის ერთადერთი მიზანი გახლავთ საქართველოს რესპუბლიკაში კონსტიტუციური ხელისუფლების დაუყოვნებლივ აღდგენა და ქვეყნის სამართლებრივ სივრცეში მოქცევა.

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს, 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ჩვენს სამშობლოში, ეროვნული ხელისუფლების მიმართ განხორციელდა არნახული ანტისახელმწიფოებრივი, ანტიქართული შეთქმულება.

1991-92-93 წლებში მოხდა კლასიკური ტიპის პუტჩი (სამხედრო გადატრიალება), რომელიც დღემდე გრძელდება და რის შედეგადაც დამსობილ იქნა საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მიერ არჩეული ქვეყნის პრეზიდენტი, საკანონმდებლო ორგანო - უზენაესი საბჭო, ყველა დონის არჩეული მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოები, რითაც ფეხქვეშ გათელეს ქვეყნის ძირითადი კანონი კონსტიტუცია, რის შედეგადაც ღვთისა და ერის წინაშე ჩადენილ იქნა უდიდესი დანაშაული.

1992 წლიდან, საქართველოს სახელმწიფო, არასამართლებრივ სივრცეში მოექცა და გაბატონდა ტერორი, ძალადობა, ადამიანთა მკვლელობა და ქვეყანა ყველანაირმა უბედურებამ მოიცვა. გზა გაეხსნა სულისმომკვდინებელ უმძიმეს ცოდვებს, სათავე დაედო საქართველოს სახელმწიფოებრივობის რღვევას და ძირძველი ტერიტორიების დაკარგვას.

სახეზეა უფლის მიერ დადგენილი ხელისუფლების დამსობის პრეცედენტი, ანუ სრული სახის ეროვნული სახელმწიფოებრივი კატასტროფა.

უფალი კი დავითის პირით გვასწავლის: „აწ რად მოხადე ზღუდე მისი, და მო-

ჭეუბნიან მას ყოველნი თანაწარმავლნი გზისანი“ (ფს 79.13), წმიდა მამა იოანე სან-ფრანცისკოელი (მაქსიმოვიჩი) ბრძანებს: „წმიდა მოციქული ამბობს, რომ „ანტიქრისტი ვერ მოგვევლინება, სანამ არ იქნება ჩამოშორებული შემთავებელი - კანონიერი, კეთილსინდისიერი ხელისუფლება. ასეთი ხელისუფლება ებრძვის ბოროტებას. ამ ქვეყანაზე მოქმედ „საიდუმლო“ არ უნდა, რომ ხელისუფლება კანონით იბრძოდეს ბოროტების წინააღმდეგ, არამედ სურს ხელისუფლების უკანონობა.“ (საუბრები საშინელ სამსჯავროზე“).

ჩვენ წერილის აზრის ნათლად გამოსახატავად კვლავ დავითის ფსალმუნთა პირით მოვმართავთ: „აჰა ესერა ესე ცოდვილნი წარმართებულ არიან და უპყრიეს სიმდიდრე მათი უკუნისამდე, და ვთქუ: ცუდად სამე განვიმართლე გული ჩემი და დავიბანენ უბრალდელ ხელნი ჩემნი. და ვიყავ მე ტანჯულ ყოველსა დღესა და მხილებანი ჩემი განთიად.“ (ფს. 72. 12-14).

როგორც მოგახსენებთ, ისტორიულად ჩვენს სამშობლოს - საქართველოს - ყოველთვის ჰყავდა ორი ხელისუფლება: სასულიერო და საერო, რომლებიც ურთიერთსიმფონიურად მართავდნენ სახელმწიფოს „უპანაგოვას“ მიხედვით, რომელშიც განცხადებულია საერო და სასულიერო ხელისუფალთა მიერ სახელმწიფოს ურთიერთსიმფონიური და ურთიერთვალდებულებითი მართვის შესახებ. თუ ამის აუცილებლობა იყო ხოლმე, იცავდნენ კიდევ ერთურთს, ვითარცა სხეული სულს და სული კი სხეულს.

მოგმართავთ თქვენ, ვინაიდან, ღვთის წყალობით, საქართველოს ავტოკეფალური სამოციქულო ეკლესია წარმოადგენს ერისა და ბერის სარწმუნოებრივ ბურჯს და ამჟამად ერთადერთი ლეგიტიმური სასულიერო ხელისუფლება ბრძანდებით; ვის თუ არა თქვენ გეკისრებათ სამართლებრივ-მორალური, უპირველეს ყოვლისა ქრისტიანული შეგონება, რათა საჯაროდ გაცხადდეს უწმიდესი მწყემსმთავრისა და წმიდა სინოდის წევრების აზრი ან გამოხატა პოზიცია ცივილიზებული სამყაროსა და ქართველთა სამწესოს წინაშე, რომ

ჩვენს მრავალტანჯულ სამშობლოში აღდგეს ღვთის მიერ დადგენილი და ბნელ ძალთა მიერ უარყოფილი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიას კონსტიტუციური, ეროვნული, ლეგიტიმური ხელისუფლება. ამით საბოლოოდ წერტილი დაესმევა ოცდაორწლიან სამართლებრივ ვანდალიზმს და ქვეყანა გადაურჩება უზენოების ჭაობში საბოლოოდ ჩაძირვასა და გენოციდს.

ეროვნული კომიტეტი თავს მოვალედ თვლის შეგახსენოთ, რომ არსებობს 1921 წლის პრეცედენტი, როდესაც ბოლშევიკებმა დაამხეს საქართველოს ხელისუფლება, იმკამინდელმა სასულიერო ხელისუფლებამ - საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის წმიდა ამბროსი ხელაიას მწყემსმთავრობით დაუყოვნებლივ მიმართა მსოფლიო საზოგადოებას, კერძოდ გენუის „ერთა ლიგის“ კონფერენციას, ოფიციალური წერილით, რომელშიც მოითხოვდა საქართველოში კანონიერი ხელისუფლების აღდგენას და ბოლშევიკური ურდოების (ჯარის) დაუყოვნებლივ გაყვანას საქართველოს ტერიტორიიდან. როგორც წმიდა ამბროსი აღმსარებელი თავის მიმართავაში გენუის კონფერენციისადმი ბრძანებდა: „... საშუალება მიეცეს ქართველ ერს თვითონ, სხვათა ძალდაუტანებლივ და უკანონოდ მოაწყოს თავისი თავი ისე, როგორც ეს მას უნდა და შეიმუშაოს ისეთი ფორმები სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრებისა, როგორც მის ფსიქიკას, სულიკეობას, სწავლულებასა და ეროვნულ კულტურას შეესაბამება...“.

1991-92-93 წლებში საქართველოში მოხდენილი კატასტროფა სხვა არაფერი იყო, თუ არა ევრო-ამერიკული იმპერიების ბნელ ძალთა ინტერვენცია მოღალატე ქართველების ხელით, როგორც ეს მოხდა 1921 წელს.

იმდღს გამოვთქვამთ, დიდ წინაპართა ეკლესიის კათალიკოსთა დარად (წმიდა ევდემოს I კათალიკოსი, წმიდა ანტონ II მრავალენებელი, წმიდა კირიონ II, წმიდა ამბროსი) თქვენც აღმოჩნდებით მოწოდების სიმაღლეზე და აღასრულებთ ვალს ღვთისა და ერის წინაშე, რამეთუ ქართველი ერი დიდი ხანია ელის თქვენს მიერ საჯარო

გამოსატყულებას დამსობილი კონსტიტუციური ხელისუფლების მხარდასაჭერად და აღსადგენად.

ქრისტესმიერი სიყვარულითა და პატივისცემით ეროვნული კომიტეტის სახელით:

- ბიორბი კერვალიშვილი - სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა ასოციაციის პრეზიდენტი, ბმსო (ბმსარომ) მიძაზა - იბერიულ-კავკასიური მოძრაობის თავმჯდომარე,
- დავით ამაშუპალი - თეოლოგი, მოძრაობა „ძლევაი საკვირველის“ მეთაური,
- ბრიტოლ ბოგვრაძე - მოძრაობა „ძლევაი საკვირველის“ გამგეობის წევრი,
- მამა ბლახა - (ტალიური),
- არმაზ ჯანელიძე - თეოლოგი,
- ბიორბი თემზაძე - სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებებისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის ფონდის თავმჯდომარე,
- ზურაბ ჭობალია - ყურნალისტი,
- ნანა კახიანი - ეროვნული კომიტეტის პრესსამსახური,
- ღიაკონი ელიზბარ ღიაკონიძე - სრულიად საქართველოს მონარქისტული კავშირი, სრულიად საქართველოს წმინდა გიორგის სადროშო,
- ზაზა ბაბუაძე - იბერიულ-კავკასიური მოძრაობა,
- დავით ბერძენიშვილი - ადოკატი,
- პანა ზარძეა - იბერიულ-კავკასიური მოძრაობის გერმანიის განყოფილების თავმჯდომარე, ქ.შტუტგარდი,

თბილისი, ქრისტესობისთვე, 2013 წ.


306 იყო ალექსი ქართველი, რომელსაც 1918-1921 წლებში აფხ-ში საქართველოს ელჩობას სთავაზობდნენ

ალექსი ქართველი (გოგობია) შეერთებულ შტატებში 1894 წელს გაემგზავრა, მას შემდეგ, რაც თბილისის სასულიერო სემინარიიდან გარიცხეს. ნიუ-იორკში მან ინგლისური შეისწავლა და მრავალი შემთხვევითი სამუშაოს გამოცვლაც მოასწრო, ვიდრე 1897 წელს ლუკა ჩხარტიშვილს შეხვდებოდა და „ბაფალო ბილის“ ველური დასავლეთის შოუს შეუერთდებოდა.

იგი შოუსში 1899 წლის სექტომბრის ბოლომდე დარჩა, მოგვიანებით, 1900 წელს კი მან საკუთარ ჯგუფთან ერთად დაიწყო მუშაობა. იმ პერიოდში მან ალექსი ქართველი დაირქვა, გარდა ამისა, ის ცნობილია კაპიტან ქართველის, პოლკოვნიკ ქართველისა და პრინც ქართველის სახელებით. ამბობენ, 1903-1905 წლებში ის ქართველთა თითქმის ყველა ჯგუფს ხელმძღვანელობდა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) მთავრობამ მას აშშ-ში საქართველოს ელჩის პოსტი შესთავაზა, თუმცა გოგობიამ ამ პოსტზე უარი თქვა. ის 1949 წელს მინეაპოლისში (მინესოტა) გარდაიცვალა.

გაზეთ „ილორის“ მკითხველებს, რომელთაც რაიმე ინფორმაცია გააჩნია ბედის უკუღმართობის გამო სამშობლოდან გადახვეწილ გოგობიაზე, ვთხოვთ გამოგვეხმაურონ.



Alexis Georgian (Gogobidze) went to the United States in 1894, after being excluded from a theological institute in Tbilisi. In New York he took a variety of random jobs and learned English, until, in 1897, when he contacted Lidia Chikantseva and joined Buffalo Bill's Wild West show. He stayed with the show till the end of the 1899 season and later, in 1900, he started working with his own group. That is the time when he changed his name to Alexis Georgian, although he also performed as Capitan Georgian, Colonel Georgian and Prince Georgian. It was said that by 1903-1905, he was in charge of practically every Georgian group in the States. It is interesting to note that the governments of Georgia's short-lived democratic republics (1918-1921) asked him to take the post of Georgia's ambassador in the United States - a post that Gogobidze refused. He died in 1949 in Minneapolis, Minnesota.

მეცნიერების დიდი მოკვდარა



ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი არნოლდ ჩიქობავა თავმდაბლობით გამოიხატა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, თბილისის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და სამეცნიერო დისკუსიების უბადლო მოპაჟქრე არასოდეს აგრძობინებდა ვინმეს, რომ ინტელექტით ან თანამედრობობით მასზე მაღლა იდგა. ჩაცმითაც ძალზე სადად იცვამდა.

ერთხელ ახალი პალტო იყიდა და ტაქსიში ჩაჯდა. მძღოლმა ახედ-დახედ და, რომლის ახალი პალტოც დანარჩენ სამოსთან შედარებით კონტრასტულად გამოიყურებოდა, „თავისიანად“ ჩათვალა და შინაურული საუბარი გაუბა:

- სად გიყიდა, ძიჯან, ეს პალტო?
- სოხუმში.
- მშვიდობაში! ძალიან კარგი პალ-

ტო, ჩემმა მზემ, „ინტელიგენტი ვიღს“ გაძღვეს.

ამ ამბავს ბატონი არნოლდი თვითონ ჰყვებოდა სიცილით და ამბობდა: ააშენოს ღმერთმა მისი ოჯახი, იმის მერე ამ პალტოს ვეღარ ვეღვევო.

ყოფილი პრობლემებისადმი საკმაოდ გულგრილი, თავისი მოწაფეების გასაჭირი არასოდეს გამოეპარებოდა. ერთ-ერთი მისი სტუდენტი-ასპირანტი, ცოლ-შვილის პატრონი კაცი, კურსის დასრულების შემდეგ უმუშევარი დარჩა. ეს იცოდა პროფესორმა. დაიბარა, დიდხანს ესაუბრა საქმეზე, ბოლოს ერთი სქელტანიანი წიგნი გადასცა, გადაათვალიერე. ამ საკითხის გარკვევაში დაგეხმარებო და გაისტუმრა. დაეშვა სტუდენტი კიბეზე, თან წიგნს ათვალაიერებს. შიგ კონვერტი იპოვა, რომელშიც ასი მანეთი იყო. აბრუნდა უკან და კაბინეტის კარი შეადო - ფული დაგრჩენიათ წიგნში. არ დამჩნენია, მაგას სესხად გატანთ, როცა გექნებათ, მაშინ დამიბრუნეთო, - მიუგო პროფესორმა შემცბარ ახალგაზრდას, რომელმაც ეს ამბავი მეგობრებს უამბო და მათგანვე შეიტყო, რომ პროფესორი ხელმოკლე სტუდენტებს აღგვარ „სესხს“ ხშირად აძლევდა და არც ფულის დაბრუნებაზე უნდა ფიქრობა.

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების სკოლის დამაარსებელს ჩრდილო კავკასიიდან ჩამოსული სტუდენტებიც ჰყავდა და მათზეც მამასავით ზრუნავდა. აკადემიკოსი ალექსი ჭინჭარაული იხსენებდა: „მე და ერთი ჩრდილოკავკასიელი ასპირანტი ვღვაერთ კიბის ბაქანზე და პაპიროსს ვეწვიეთ. მოულოდნელად არნოლდ ჩიქობავა გამოჩნდა. ჩვენ შეეცბუნდით

და ხელები ზურგს უკან დავმალეთ. პროფესორმა გვერდით ჩაგვიარა და ჩაილაპარაკა:

„პაპიროსიას წვეთთა ვერ გადაივლი მთასაო, კვამლი რომ ვერე მიყვარდეს, ბუხარში შეყოფ თავსაო“, - შემდეგ კიბეზე შეჩერდა, მიმხმობ, ფულის დასტა გამოიწოდა და რუსულად მითხრა: Передайте ему (იმას გადაეცეთ). ამ ხელმოკლე, ობოლ, მაგრამ ამაყ მთიელს ფულის პირდაპირ მიცემა არ შეჰკადრა, შუამავლად მე გამომიყენა“.

სიკეთეზე სტუდენტებიც სიყვარულით და პატივისცემით პასუხობდნენ. და არა მხოლოდ საქართველოში. ჩრდილოეთ კავკასიაში ერთ-ერთი საენათმეცნიერო სესიის დროს სასტუმროში დაბინავებულს ჩერქეზულ ჩოხა-ახალუხში გამოწვობილი ჭარმაგი მოხუცი ესტუმრა.

- ვიცი, რომ ჩვენი ახალგაზრდების დიდი მოძღვარი ბრძანდებით. თქვენთვის და თქვენი კოლეგებისთვის სუფრაა გაშლილი და მობრძანებას ვთხოვთო.

არნოლდ ჩიქობავამ ავადმყოფობა მოიმიხეზა და ასე დააპირა სუფრისთვის თავის არიდება. მაშინ სტუმარმა განუცხადა: სანამ თქვენ და თქვენი კოლეგები აქ ბრძანდებით, ყოველდღე ახალი საკლავი დაიკვებო, ის სუფრა ყოველდღე განახლდება და თქვენს მოლოდინში იქნებაო. პროფესორი მთიელთა ბუნების უბადლო მცოდნე იყო, იცოდა, შესარულებდნენ დანაპირებს და კოლეგებს მთებში ჩაკარგული აულისიკენ გაუძღვა.

ლადო ბოზუაძე

სამეგრელოს ღირსეული შვილები

თვით თებერვლის რევოლუცია ნორმა-ლურად რომ ვერ წარმართა და განვითარდა, სხვადასხვა პარტიების გადაუნყვეტლობით, გამეფებული ქაოსით ბნელმა ძალებმა რომ ისარგებლეს და ხელთ იგდეს მმართველობა, ამის უმთავრეს მიზეზად საქმეში ჩახედულნი ინტელიგენციასა და ხალხს შორის თანდათანობით გაჩენილ უფსკრულს ასახელებენ.

საქართველოში დაბრუნებული უჩა დადიანი შეურიგებლად, სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდა მალე ჩვენს სამშობლოშიც დამყარებულ კომუნისტურ რეჟიმს და ემიგრაციაში მოუხდა წასვლა; წლების მერე ამერიკაში, ნიუ-იორკში ჰპოვა აღსასრული. უჩა დადიანის უაღრესად დრამატული, მღელვარე ცხოვრება საკმაოდ სრულად, პანორამულად არის ასახული ფუცუ დგებუაძის რამდენიმე ტენდენციურ (მას ბევრი რამე რედაქტორებმა გადაუქეთეს) ისტორიულ რომანში „ოქროს ბეჭედი“, რომლის წერისას ავტორს ცნობებს აწვდიდა გვანჯი ჩიქოვანი.

ამ რამდენიმე წლის წინათ „ლიტერატურულ საქართველოში“ უჩა დადიანის პიროვნებასა და მის გარემოცვაზე ძალზე საინტერესო ნარკვევი გამოაქვეყნა მსოფლიოში ფურნალისტმა აგული დადიანმა და საზოგადოებას არაერთი საგულისხმო ფაქტი ამცნო.

გარკვეული მოსაზრების გამო, აქვე ზოგი რამ უნდა ვთქვათ სახელმწიფო სათათბიროს წევრზე, ებრაელთა დარბევების ცნობილ ორგანიზატორზე, პირნავარდნილ შავრაზმელზე ვლადიმერ პურიშკევიჩზე, რომლის ნასროლმა ორმა ტყვიამ (ორი ააცდინა) საბოლოოდ შეინარა მანამდე იუსუპოვის მიერ დაჭრილი, მოსულიერებული და ქუჩაში გასავარდნად მოქცეული რასპუტინის სიცოცხლე, ხელი მოუთავა მას (თვითონ იგი რამდენიმე წლის მერე საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა; ფიქრობენ, რომ მონამ-ლეს).

1916 წლის 19 ნოემბერს სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნაზე პურიშკევიჩმა წარმოსთქვა ორსაათიანი მგზნებარე სიტყვა, რომლის პათოსი მიმართული იყო მისი და არა მარტო მისი აზრით საშინელების, საზოგადოების წინააღმდეგ, რასაც მეფის კართან დაახლოებული რასპუტინი წარმოადგენდა. დასწრე საზოგადოებამ შესურვალედ დაუჭირა მხარი პურიშკევიჩს. მეორე დღეს მას თავადმა ფელიქს იუსუპოვმა – და გრავამა სუმაროკოვ-ელსტონმა – დაურეკეს და შეხვედრაზე შეთანხმდნენ (გვანჯი ჩიქოვანს იგი მოხსენიებული ჰყავს, როგორც რასპუტინის მკვლეელი, რადგან პირველმა სწორედ მან ესროლა მოსკოვად გამზადებულ, ნამცხვრებში მოხაშულ, შხამგარეულ ღვინო გამასპინძლებულ და მინც ფეხზე მდგარ, უკვე დაეჭვებულ რასპუტინს, რომელიც ამოდ ელოდებოდა დაპირებულ სასურველ ქალს).

პურიშკევიჩზე მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა 30 წლის ულამაზესი გარეგნობის, დახვეწილი მანერების მქონე ახალგაზრდა დიდგვაროვანმა ოფიცერმა. მათი სურვილები და ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა და სასწრაფოდ დაგეგმეს რასპუტინის მკვლელობა. პომოსეს უალისტო იუსუპოვს თავისი ბოლშევიკური რასპუტინის მიმართ, რომელიც არა პირდაპირ, მაგრამ მაინც ხელს უშლიდა მის დაქორწინებას დიდი მთავრის ალექსანდრე მიხეილის ძის ქალიშვილზე, ირინაზე, და ფელიქსს, მისივე მშობლების თხოვნით, პიპონოზითა და როზგით მკურნალობდა, რაც სასიამოვნოდ არ დარჩებოდა ამაყ სასიძოს. იუსუპოვს შუარის საძიებლად ხელსაყრელი მომენტი დაუდგა და შეთქმულებაში აქტიურად ჩაება. იგი შეპირდა რასპუტინს – თავის სასახლეში, გვიან ღამით, მისთვის დიდად სასურველ ქალს დაახვედრებდა და ასე მიიტყუეს ორი გიგებს გადაყოლილი „წმინდანი ეშპაკი“, რომელიც რის ვაი-ვაგლანით მოკლეს და თოკებით გაკოჭილი გაყინულ ნევაში გადააგდეს. რასპუტინის ყოველ ნაბიჯს პოლიციის სამი უწყება ადევნებდა თვალს და მისი მკვლელობის გარემოებანი მამინცე ცნობილი გახდა. ეჭვმიტანილმა იუსუპოვმა ყალბი ფიცებით აღსავსე ფარისევლური წერილი

გაუგზავნა დედოფალს, თითქოს მომხდარ ამბავზე არაფერი იცოდა.

თვითონ პურიშკევიჩს სახელდახელოდ დანერგილ დღიურებში დანერგილებით აქვს აღწერილი მკვლელობის მომზადება, შთანაფქვრის განხორციელება და ამასთან დაკავშირებული დეტალები. თუმცა ჩვენს წინაშე ამკარად ბნელი პიროვნება იხატება, მაგრამ აქვე ჩანს მისი საფუძვლიანი, კლასიკური განსწავლულობა. იარაღმომარჯვებულს (ხელში, როგორც რამდენჯერმე თავმომწონედ აღნიშნავს, „სოვაჟის“ სისტემის მიძიმე, საუცხოო რევოლვერი ჰქონდა ჩაბლუჯული) ჰორაციუსის პირველი წიგნის მეათე ოდის დასაწყისი აკვირებია და აფორიაქებული ლათინურად წარმოსთქვამს მაგიურ სტრიქონებს:

წულარ მეკითხები წურაფერს, ლეკონია, არ გვიწერია გაგება იმისა, თუ რა გველოდება, რა ბოლოს გვიმზადებენ მე და შენ ღმერთები...

მკვლელობის მეორე დღესვე რუმინეთის ფრონტზე მატარებლით მიმავალი პურიშკევიჩი შემფოთებულია რუსეთის იმპერიის არასახარბიელო ბედით და თავისი დღიურების ბოლოს სიმწრით აღმოხდება: „ღმერთო ჩემო! რა წყევლია არის მოცული მომავალი!..“ იგი არც მალავს, მის სამშობლოს მცირე ერების ჩაყლაპვა რომ უნდა და ამავე დროს დაეჭვებულია, რამდენად შესძლებს ამას რუსეთი:

ცხოვრება ბჰანჯი ჩიქოვანისა

„ვართ კი ჩვენ დიდი ხალხი, ვისაც შეეძლება ეროვნული მდინარის კალაპოტში გზა გაიკვალოს წინ, თან თავის წყლებში შთანთქას სხვა ტომები და წვრილ-წვრილი ხალხები, თუ? თუ ჩვენთვის ყველაფერი დამთავრებულია და უკვე მოგვსო, დაგვანაკუნა და გაგვხრნა უამთა დინებამ, განწირული ვართ საიმისოდ, რომ წარმოვადგენდეთ არენას სხვა ტომებისა, რომლებიც სლავებს თვლიან უმდაბლეს რასად, ვისაც შეუძლია მხოლოდ გააპოხინოს ველ-მინდვრები იმ ქვეყნებისა, მისსავე ძელებზე რომ გადადიან და ესწრაფიან სინათლეს, ცოდნასა და მსოფლიო ბატონობას, რის მიღწევაც ბედმა ჩვენ არ გვარგუნა?“

გვანჯი ჩიქოვანი, ძველი არისტოკრატიული გვარის შთამომავალი, ბუნებით თავისუფლებისმოყვარე პიროვნება, მრავალგზის დანაჭერი და ნანვალები, ბუნებრივია, იმ დროსა და იმ პირობებში ვერ გამოხატავდა თავის ნამდვილ დამოკიდებულებას უსასტიკესი საბჭოთა რეჟიმის მიმართ, იძულებული იყო, საკუთარი განწყობლება დაემალო.

წამით ახალ ისტორიასაც შეგვიძლია გადავავლოთ თვალი. გავიხსენოთ, რა დავმართა არეულობის ფაშს ისეთი უზარმაზარი კულტურული წარსულის მქონე ევროპულ ქვეყანას, როგორიც საფრანგეთია. შემთხვევით არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ორი საუკუნის წინათ, როცა მეფის გვარეულობასა და არისტოკრატიული წარმომავლობის ადამიანებს, თავისუფლების სახელით, მუსრი ფაავლეს, კაცსა თუ ქალს დაუნდობლად ვაჭრავდნენ, გილოტინიდან სისხლის ღლეები მოედინებოდა, ძუძუთა ბავშვებს დედებთან ერთად ხვრეტდნენ, ხოცვის ჟინითა და სისასტიკით ყველაზე მეტად თავი გამოიჩინეს „პროლეტარული წარმოშობის დამნაშავეებმა“ (დონალდ თომასი, მარკიზ დე სალი, 1998, გვ. 28). ამ ეპოქას, მეთვრამეტე საუკუნის მინურულის საფრანგეთში მომხდარ საშინელებათა სურათებს, უდიდესი სიხადითა და ძალმოსილებით, მიუყერძებლად გვიხატავს ტომას კარლეილის უკვეაღვი წიგნი „საფრანგეთის რევოლუცია. ისტორია“.

ამჟამად არავითარ საიდუმლოებას აღარ წარმოადგენს – რუსეთში შექმნილი ხანგრძლივი არეულობა და ოქტომბრის გადატრიალება, ძირითადად, გერმანული კაპიტალის მეხეობით მოხდა, რათა მსოფლიო ომში ჩაბმული რუსეთი დაესუსტებინათ. ამ ვერაგულ

დაფინანსებას ფრიად სავალალო შედეგი მოჰყვა.

ცნობილი თეორეტიკელი გენერალი მიხეილ დიტერიხსი, ავტორი ამაღლებული წიგნისა „მეფის ოჯახის და რომანოვების სახლის წევრთა მკვლელობა ურალში“, ჯერ კიდევ ოციან წლებში წერდა:

„ჩვენ ვიცით, რომ გერმანიამ თავისი მონინალმდევები პატიოსან, ღია ბრძოლაში ვერ დანდარცხა; მაშინ ბრძოლის არანაირ საშუალებას არ დაერიდა და ჩვენს ფრონტსა და ზურგში შემოავდო ბრძოლის ყველაზე უფრო საზიზღარი იარაღი, შხამთაგან ყველაზე ამაზრზენი – პოლიტიკური შხამი, ბოლშევიზმის შხამი, ანარქიზმის სენი. თუმცა იგი თვითონვე გახდა მსხვერპლი ამ ბრძოლაში მის მიერ დაქირავებული მონებისა.“

მართლაც, იმას კი აღარ დაუფიქრდნენ გერმანიის მთავარი სამხედრო შტაბის ხელმძღვანელები – როცა რუსეთში დაჯავშნული ვაგონით შეგზავნეს ლენინი და არეულობის სხვა დაქირავებული თავკაცები, ეს მომავალდინებული შხამი მომავალში მთელ მსოფლიოს მოწამლავდა და მათ სამშობლოსაც რისხვად დაატყდებოდა.

საგანგებოდ აღნიშნავენ, რომ თვით სისასტიკით სახელგანთქმული ლენინი საზღვარგარეთიდან მძლავრი დანაშაულის შედეგად მზად იყო თითქმის ყველაფერი დაეთმო – ბურჟუაზიული სპეციალისტები მოეწვია,

რეპრესიები შეეჩერებინა, მაგრამ აქ ინიციატივა აიღო ტროცკიმ და არნახული უღმობელობით გააჩაღა ნითელი ტერორი; განსაკუთრებულად მძლავრი, გამანადგურებელი დარტყმა კი მართლმადიდებლურმა ეკლესიამ განიცადა. „სიცრუის რელიგიის ხელისუფლებმა“ კარგად იცოდნენ, რომ რწმენაგამოცლილი, გაბოროტებული და მშვიდი მასა იოლი დასარბევი და დასამორჩილებელია, ადვილად წაიყვან შენს ჭკუაზე და რასაც გინდა, იმას ვაკეთებინებ.

ემიგრაციაში წასვლამდე, დღიურებისა და ჩანაწერების შემადრწუნებელ, საბრალდებო წიგნში „დაწყველილი დღეები“ დიდ რუს მწერალს ივან ბუნინს წყვეტილ-წყვეტილ, მაგრამ უდიდესი გზნებით აღწერილი აქვს ის კომარული ამბები, რაც ხელისუფლების სათავეში ლენინისა და ტროცკის ყოფნის დროს ხდებოდა. ერთგან ავტორი პროცესისა გამოდევნებულ, გასაცოდავებულ მტირალ დედაბერს გამოელაპარაკება და თანაგრძობით ეკითხება, რად ეკუთვნოდა გარდაცვლილი. უცნობია, სხვისი მიცვალებულია და მისი ბედი მშურსო, პასუხობს მოხუცებული. ირგვლივ ისეთი განუკითხობა და იმდენი ჯალათური მკვლელობებია, აღარაფერი უკვირთ. ბუნინი ერთ-ერთ ყველაზე დიდ დანაშაულად ბოლშევიკებს იმას უთვლის, რომ მათ ადამიანებში ალქმის უნარი ჩაკლეს. დიდ შემოქმედს აოცებს ახალგაზრდობის წრეგადასული ცინიზმი. 1919 წლის 25 აპრილს ოფესაში შეხვედრია მაშინ ახალგაზრდა მწერალი ვალენტინ კატაევი, რომელსაც უთქვამს: „ასი ათასად ვისაც გინდა, იმას მოკვავ. მე კარგი ჭამა-სმა, კარგი შლიაპა და საუცხოო ფეხსაცმელები მინდა...“ ეს ალბათ მაინც პოზაა, მოჩვენებითი ყოყლოჩინობაა. ცხადია, ვალენტინ კატაევი არავისი მომკვლეელი არ იყო. მკვლელები და ბანდიტები უმისოდაც არ აკლდა და არც ახლა აკლია საკმაოდ არეულ რუსეთს.

რადგან განვრცობილად თხრობას ვერიდები, აქ აღარაფერს ვიტყვი ლენინდ ანდრეევისა და ვლადიმერ კოროლენკოს ბოლო, უმძაფრეს პუბლიცისტურ წიგნებზე.

პირველი მსოფლიო ომის მონაწილემ, მონყალების დამ სოფიო ფედორჩენკომ 1917 წელს გამოსცა დიდად საყურადღებო წიგნი „ხალხი ომში“, სადაც სხვადასხვა ადამიანთა, მეტწილად ჯარისკაცთა მოთხოვნები თუ პატარ-პატარა მონოლოგებია გაერთიანებული, ამ უსაზღვროდ კეთილი

ქალბატონის მიერ პირდაპირ ფრონტზე ჩაწერილი და ბუნებრივად იქმნება ხოცვა-ჟლეტის, დაუნდობლობის სისხლიანი პანორამა, ომის პირობებში ადამიანთა გადაგვარების სულისშემძვრელი სურათები. ამ წიგნს თვით ალექსანდრ ბლოკის ალტაცება გამოუწვევია და ეს კიდევაც აღუწინავეს დღიურში.

მრავალთაგან მხოლოდ ერთ ფრაგმენტს დავიმოწმებთ. სოფიო ფედორჩენკოს ჩაუნწერია ერთი გაბურძნული ბერიკაცის ბუტბუტი, სადაც ნათქვამია, თუ როგორ გამოაცალა მან უცნობ, მძინარე პატარა ბავშვს თავქვე ამოდებული პური. ჯერ ეს პური გაუტყვავს, ნახევრის წაღება გადაუწყვეტია, მაგრამ იქვე გადაუფიქრებია — ბავშვი სიცოცხლითაა სავსე, მე კი, წვერებიანს, პური თუ არ მექნა, შიმშილით მოკვდებო. ამაზე მეტად, ალბათ, ადამიანის გაპირუტყვება არც შეიძლება. უნებლიეთ გაგახსენდება ნიკო ლორთქიფანიძის ნოველა „ტრაგედია უგმირთ“, თუ საკუთარი თავისადმი რა შეუბრალებელი სისასტიკით მოინანია ბოვანო მამამ წამიერი მოუთმენლობა შიმშილისაგან აუღივლებული შვილების წინაშე.

ამ მოკლე მიმოხილვაში გვინდა მადლიერებით მოვლესენიოთ ცნობილი კატორღელის, საუკეთესო მეცნიერისა და მწერლის დიმიტრი პანინის ავტობიოგრაფიული წიგნი „ლუბიანკა – ეკიბასტუზი, ბანაკის ჩანაწერები“, რომელსაც ტყუილად როდი ადარებენ დოსტოევსკის ერთ-ერთ უძლიერეს რომანს „ჩანაწერები მკვდარი სახლიდან“. ამ პიროვნებას ნამდვილად ჰქონდა უფლება, საბჭოთა ბანაკისთვის „ხელოვნურად შექმნილი ჯოჯოხეთი“ ეწოდებინა. ამჯერად დასახელებული წიგნის მხოლოდ მცირე, მაგრამ საკმაოდ მნიშვნელოვან მონაკვეთს დავჯერდებით.

საგანგებო, ჩვენთვის მეტად საყურადღებო ქვეთავში („სამოციანელთა წინამორბედი“) დიმიტრი პანინს აღწერილი აქვს თუ როგორ შემორეკეს განმანათლებელ ციხეში ახალგაზრდა უკრაინელი გოგონები, რომელთაც მორიგი შიმშილობის ფაშს საკოლმეურნეო მინდვრებზე დაცვენილი თავთავები აეკრიფათ, ყველანი დაეპატიმრებინათ და ახლა, ვინ იცის, ნარნაირი რეციდისტების ხელში რამდენი საშინელება და დაცემა-დამცირება ელოდათ. ავტორი განაგრძობს:

„აქვე შეხვდით ერთ ქართველს. იგი გასაოცრად თავისუფლად ლაპარაკობდა, თუმცა ამკარად იგრძნობოდა, არც პროვოკატორი იყო და არც დამსმელი. მან მითხრა ისეთი მოულოდნელი რაღაცეები, რასაც მხოლოდ გამოძიებელს მიახლიან პირში, როცა რაიმეს დაფარვას აზრი აღარა აქვს და ხელისუფლებას ანგარიშს უსწორებ, ნიღაბს ხდი მას. ჩვეულებრივ ასეთ რამეს პირველსავე შემხვედრს კი არ ეუბნებიან, ამაზე ერთმანეთის კარგი ნაცნობები საუბრობენ. განსაკუთრებით ორი თვალსაზრისი დამამახსოვრდა. ჯერ ერთი, იგი აერთიანებდა ქრისტიანობას და დემოკრატისა, საბუთებდა ადამიანში ამ ორი თვისების შერწყმის აუცილებლობას. მეორე კიდევ ის, იგი გარწმუნებდა, რომ სტალინი ჩვენი, რუსეთის ქმნილებაა, თუმცა წარმოშობით ქართველია, საქართველო მას არ სცნობს, უარს ამბობს მასზე, განდიდებით კი მას ჩვენ, რუსები განვადიდებთ. ქართველების მიმართ ჩვენ არავითარი პრეტენზიები არ უნდა გვქონდეს. ჩვენ, რუსები, ქართველები რომ ვყოფილიყავით, სტალინი ვერასოდეს მოიპოვებდა ასეთ ძალაუფლებას.“

ასეთ განსაცვიფრებელ გულახდილობას და თანაც ამგვარ პირობებში, როცა ადამიანთა განუკითხავი განადგურება ხელისუფლებას არაფრად უღირდა, პანინი თვითმკვლელობად თვლის და სინანულით აღნიშნავს, რომ ქართველ პროფესორზე, რომელმაც ამდენი გაბედა და ასე ამხილა სტალინი და მისი სისხლიანი სისტემა, მერე აღარაფერი სმენია. პანინის გასაოცრად, ქართველ პატიმარს ნასახიც კი არ ეტყობოდა ძალმომრეობის წინაშე მონური მორჩილებისა. წერს, ამ კაცმა ეპოქას თხუთმეტი წლით გაუსწრო, და იგი მიაჩნია წინამორბედად საფოციანი წლების მოღვაწეებისა, ხმა რომ აღიმადლებს დემოკრატის პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დასაცავად.

მეზარ კვიტიციანი (გარდაცვლილი)

„თავისუფალი საქართველოს მემკვიდრე“ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას კანონიერი – ლეგიტიმური, კონსტიტუციური ხელისუფლების – უზენაესი საბჭოს აღდგენის ეროვნული კომიტეტის ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოს რესპუბლიკის უახლესი ისტორიისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია იმ ავადსახსენებელი 22 წლიანი პერიოდის მიმოხილვა, რომლის დროსაც საქართველოს რესპუბლიკამ, 1991 წლის 22 დეკემბერს, სამხედრო გადატრიალების შედეგად, დაკარგა სახელმწიფოებრიობა, და ქვეყანაში დამკვიდრებულმა შევარდნაძის ტერორისტულმა რეჟიმმა ათასობით ქართველი პატრიოტის სიცოცხლე შეიწირა, რაც ორი წლის მოგვიანებით, მე-20 საუკუნის უდიდესი მოაზროვნის და პოლიტიკური მოღვაწის, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ფიზიკური განადგურებით დასრულდა.

მსოფლიო ქვეყნების ისტორიაში არ არსებობს ანალოგი, რომ ქვეყნისათვის თავისუფლების მოპოვებელი და საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენის მკვლევარობა, დღემდე, სახელმწიფოსა და მართლმსაჯულების მიერ არ არის გამოძიებული და საუკუნის მკვლევარობა გაუხსნელია, რაც იმას ნიშნავს რომ, სამხედრო გადატრიალებიდან დღემდე, ჩვენს სამშობლოში არ არსებობს სამართლებრივი სახელმწიფო ინსტიტუტი, უფრო მეტიც არაღიარებული ტერორისტულ რეჟიმებს, დაწესებული შევარდნაძესააკაშვილით და დამთავრებული დღევანდელი ფსევდო-დემოკრატიული რეჟიმით, არათუ აინტერესებთ საუკუნის დანაშაულის გამოძიება, არამედ პირიქით, ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ეს გაუგონარი მკვლევარობა ყოველნაირად იყოს მიჩქმალული.

მკვლევარობის მოთავენი და შემსრულებელნი, დანაშაულის ჩადენის დღიდან ავრცელებენ და დღესაც ვრცელდება ორივე მხაკერულ-ვერავული ვერსია პრეზიდენტის თვითმკვლელობის და მისი თითქოსდა ცოცხლად არსებობის შესახებ.

რომელსაც შეგნებულად ხელს უწყობენ ქვეყნისა შინაური და გარეშე მტრები.

მოგმართავთ ქართველ ერს და მსოფლიოს ყველა კეთილი ნების ადამიანს, რომ პრეზიდენტის, საერთაშორისო დონის, აღნიშნული პოლიტიკური მკვლევარობა, ვერ და არ გაიხსნება, ვიდრე ჩვენს ქვეყანაში არ აღდგება, კონსტიტუციური ხელისუფლება. და თუ გვსურს ზვიად გამსახურდიას მკვლევარობის დამკვეთნი და შემსრულებელნი, იქნან პასუხისმგებელი მიცემულნი, ამისათვის ერმა და ბერმა უნდა აღადგინოს სამართალმკვიდრეობა და ქართულმა მართლმსაჯულებამ აღასრულოს თავისი ვალი ღვთისა და ერის წინაშე.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ეროვნულ კომიტეტს ასევე მიზანშეწონილად მიჩნია საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდა სინოდმა დააყენოს საკითხი საქართველოს ეროვნული გმირების, ღვთისა და სამშობლოსათვის თავდადებული და მოწამეობრივად აღსრულებული ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას კანონიზაციის საკითხი.

ეროვნული კომიტეტის სახელით,

ბიორბი კერვალიშვილი,
კომიტეტის მთავარი კოორდინატორი
აღმასრულებელი საბჭოს წევრები:
ბასო /გმსარიონ/ მიქაშა,
დავით ბერძენიშვილი,
არმაზ ჯანაშიძე,
დავით ამაშუკელი,
ბიორბი თეზაძე,
ზურაბ ქობალია, ჟურნალისტი,
ნანა კახიანი, პრესმდივანი.
ქ. თბილისი

ცოტნე გამსახურდია – “მამაჩემის მიიღო, რაც ღაიმსახურა”



საქართველოს პირველი პრეზიდენტის ვაჟი, ცოტნე გამსახურდია “ფიზიკურად” საკუთარ გვერდზე უკანასკნელ ჟამს ჩვენს ჩინოფიკთა მიერ გაკეთებულ ძვირადღირებულ შენაძენებთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტის განცხადებას ეხმაურება.

“მეორფასო გიორგი, მიუღებელი ის არის, როცა თანამდებობის პირი, რომელსაც ხელფასი ათასობით ლარი აქვს, საყოფაცხოვრებო ნივთებსაც ბიუჯეტის ფულით ყიდულობს ამ ღატაკ ქვეყანაში! ერთი მამაჩემი იყო გამოუცდელი დიქტატორი, საკუთარ ხელფასსაც რომ ბავშვთა სახლს ურიცხავდა. და ის მიიღო, რაც ღაიმსახურა... აქ მიზა სჭირდებათ, რომელმაც ომის შემდეგ მილიარდობით რეზიდენცია აიშენა, ალიფუა!”

კიდევ და კიდევ მრცხენია, რომ ქართველი ვარ...” – წერს გამსახურდია.

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, რომელიც საერთოდ გამოირჩევა ფრიად ბუნდოვანი და არაფრისმთქმელი განცხადებებით, უშიშროების საბჭოს აპარატის მიერ ამას წინათ განხორციელებულ შესყიდვებში “ფუფუნების” ნაბიჯს ვერ ხედავს (გიორგი მარგველაშვილმა ასევე ბუნდოვანი განცხადება გააკეთა პატრიარქის საშობაო ეპისტოლესთან დაკავშირებით ზოგიერთი ფულზე სულგაყიდული არასამთავრობო ორგანიზაციის უღირსი გამოხტომების გამო).

“საერთოდ ფუფუნების ტენდენცია, რომ ჩემთვის მიუღებელია, ამას არაერთხელ გავუსვი საზი, როგორც ჩემი პირადი გადაწყვეტილებებით, ისე – განცხადებებით. თუმცა, ვფიქრობ, ვიდრე მოვახდენთ მიმართულებით ვინმეს “კლიშორებას”, რომ ესა თუ ის შესყიდვა არის აუცილებლად ფუფუნების საგანი, კარგი იქნება, თუ ურნალისტები დეტალურად ნახავენ, რაზეა საუბარი და შესაბამისად, გააკეთებენ დასკვნებს. უშიშროების საბჭოს მდივნის გადაწყვეტილებებში ფუფუნების მიმართულებით ვერც ერთ ნაბიჯს ვერ ვხედავ, დეტალებში შესვლა არ მსურს, თუმცა არ შეიძლება, ფუფუნების საგანს წარმოადგენდეს მაგალითად, კომპიუტერის ჩანთა”, – განაცხადა მაშინ მარგველაშვილმა.

არა და, გაზეთის ამ ნომრის პირველ გვერდზე საგანგებოდ აღვნიშნეთ, რომ მორალურად გაუმართლებელია სხვადასხვა ფუფუნების საგნების შექმნა ჩინოფიკების მიერ, მაშინ, როცა გასული წლის ბიუჯეტი მნიშვნელოვნად გაიზარდა და ჯერჯერობით ჩვენი ეკონომიკის გამოცოცხლების არაეიტარი პერსპექტივა არ სჩანს.

საინტერესოა, რატომ არ შეიძლება არცთუ ძვირფასიანი მანქანებით იარონ იმ ჩინოფიკებმა. რომელთაც პრაქტიკულად არ უწყვეთ ქალაქის ტერიტორიის დატოვება და მხოლოდ მოასფალტებულ გზებზე დადიან.

გასაგებია, რომ ბატონ კახი კალაძესა და კიდევ რამდენიმე მინისტრს უწყვეს უზობის პირობებში გადაადგილება, მაგრამ, ვერ გამოვიგებ, რაში სჭირდებათ მაღალი გამავლობის მანქანები იმ სხვა თანამდებობის პირებს, რომლებიც რაონებში მივლინებისას მხოლოდ მის ცენტრს თუ მიინახულებენ ხოლმე. და როცა ამგვარ საკითხს ყველა თავისი სახომით და უკანალის ზომაზე მორგებული სავარძლით უდგება, ალბათ დროა, რომ ჩინოფიკთა მაღაც კანონმდებლობის შესაბამისად დარეგულირდეს! წინააღმდეგ შემთხვევაში, გამორიცხული არ არის, რომ მაგანმა ტუალეტამდეც პერსონალური მანქანით მიინდომოს მისვლა.

რ. შალვაგბერიძე

საზოგადოება “ცოდნა” უნდა აღორძინდეს

საკავშირო საზოგადოება “ცოდნა” საბჭოთა კავშირში გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ჩამოყალიბდა. იგი ძალას იკრებდა როგორც საქართველოში, ისე საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტურ სახელმწიფოებში.

ამ სტრუქტურის ძირითადი მიზანი იყო ცოდნის გავრცელება საზოგადოების ყველა სფეროში. თემ-ატაკაც საკმაოდ რთული და მრავალსიმომცველი გახლდათ: მეცნიერება, კულტურა, ჯანმრთელობა, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, გეოგრაფია, სპორტი, საერთაშორისო საკითხები, სახელმწიფოს, რეგიონების, ქალაქებისა და სოფლის პრობლემები. ლექციებსა და მოხსენებებს ატარებდნენ მეცნიერები, დამსახურებული ლექტორები, ნოვატორები, სხვადასხვა დარგის კომპეტენტური სპეციალისტები. ეწყობოდა უშუალო შეხვედრები და დისკუსიები ლექტორიუმებში.

გარდა საზოგადოების ინტელექტუალურად ამაღლებისა, საზოგადოება ცოდნა დამატებით შემოსავლაც უწევდა მეცნიერებს, რადგან მათ თითოსათიან ლექციებში მინიმუმ ათ საბჭოთა მანეთს უხდიდნენ, რაც იმ პერიოდისათვის საკმაოდ სოლიდურ თანხად ითვლებოდა.

საქართველოს ყველა ქალაქსა და რაიონში, აღმასრულებელი ხელისუფლების შენობებში განთავსებული იყო საზოგადოება “ცოდნას” განყოფილება, რომელთაც გარკვეული წვლილი შეჰქონდათ იდეოლოგიური აღმშენებლობის დარგში. ორგანიზაციაში მოქმედებდნენ მეთოდური საბჭოები, რომელთა საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდნენ უმაღლესი სასწავლებლების ლექტორები. “ცოდნა” მოქმედებდა სამეურნეო ანგარიშის პრინციპით.

ტარდებოდა საერთაშორისო დონის კონფერენციები. საზოგადოებას ხელმძღვანელობდნენ საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერები, რომელთაც მაღალი საზოგადოებრივი ავტორიტეტი გააჩნდათ. მაგრამ ყბადადებულმა “პერესტროიკამ”, სხვა დარგებთან ერთად, უკუღმა დაატრიალა საზოგადოება “ცოდნას” ბუდის ბორბალიც.

წარსულის გადმოსახედიდან

მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების თავმჯდომარის თანამდებობა არჩევითი იყო, პარტიის ცეკამ მას თავზე წამოსაკება ამ საქმეში სრულიად არაკომპეტენტური ცეკას ინსტრუქტორი ნუზარ წერეთელი, რომელმაც ამ თანამდებობაზე შეცვალა უაღრესად პატიოსანი და დიდი მეცნიერული გამოცდილების მქონე დამიანე გოგობია.

სწორედ ამის შემდეგ დაიწყო საზოგადოების რვგრესი – ერთმანეთის მიყოლებით დაითხოვეს გამოცდილი კადრები, საზოგადოების შენობას მიასშენეს და დაასშენეს დამატებითი ფართი, სადაც გახსნეს კოლეჯი, უნივერსიტეტი, ქალაქებსა და რაიონებში გააუქმეს საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები...

ასე თანდათან, “უმტკიუნელოდ” მოაშთეს ერთ დროს უძლიერესი ორგანიზაცია, რომელიც ქვეყნისათვის უდავოდ საშურ და სასარგებლო საქმეებს აკეთებდა!

მაღე ქვეყნის სათავეში მოვიდნენ “ახალგაზრდა რეფორმატორები”, რომელთა უმეცრებამ მიწასთან გაასწორა სამეცნიერო დაწესებულებები, რადგან მათ ზურგი შეაქციეს სახელმწიფო იდეოლოგიას. მაგრამ არც მათ შერხათ თავხედობა და დღეს მრავალ მათგანს უწყვეს პასუხისმგება ერისა და ქვეყნის წინაშე.

დაიწყო აღმშენებლობის პროცესები, რომელმაც მოიცვა პოლიტიკა, ეკონომიკა, ძალოვანი სტრუქტურები, იდეოლოგია... ქვეყანა ადგას აღმშენებლობის გზას, დემოკრატიული აღმშენებლობის პროცესები კი უნდა განვითარდეს მართებული სახელმწიფო იდეოლოგიის ბაზაზე. სწორედ ამიტომაც აუცილებელი საზოგადოება “ცოდნის” აღდგენა

აღნიშნული ამოცანის განხორციელება კი დიდ ძალისხმევას მოითხოვს და ამ წინადადებას უპირველესად უნდა გამოეხმაუროს ქვეყნის საზოგადოებრიობა, ხალხმა უნდა წარმოადგინოს საკუთარი წინადადებები და მოსახრებები.

იუსა კატიშკია, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი

ამის ცოდნა ყველასათვის სავალდებულოა სინქარის გადაჭარბებაზე 100-ლარიანი ჯარიმა განახმვრდა

სინქარის გადაჭარბებაზე 100-ლარიანი ჯარიმა განახმვრდა. 2014 წლის პირველი იანვრიდან ძალაში შევიდა პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი, რომელიც სინქარის გადაჭარბებისთვის ჯარიმის ოდენობის 100 ლარიდან 50 ლარამდე შემცირებას, ხოლო საურავის ოდენობის 500-დან 150 ლარამდე დაწევას ითვალისწინებს.

პირველი იანვრიდან ასევე განახმვრდა საჯარო მოძრაობის წესების დარღვევის გამო დაკისრებული ჯარიმის და მასზე დარიცხული საურავის გადაუხდელობისთვის მართვის უფლების ჩამორთმევის ვადები. კერძოდ, 1 წლის ვადით მართვის უფლების ჩამორთმევა იცვლება ექვსი თვით, ხოლო 2 წლის ვადით მართვის უფლების ჩამორთმევა – 1 წლის ვადით.

გარდა ამისა, “ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის” აქამდე მოქმედი ნორმის მიხედვით, ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის გამო,

1 წლის ვადით ჩამორთმეული მართვის უფლების აღდგენისთვის პირს 1000 ლარიანი ჯარიმა უნდა გადაეხადა, ხოლო 2 წლის ვადით ჩამორთმევის შემთხვევაში – 1500 ლარი. კანონის ეს ნაწილიც შეიცვალა – 6 თვის ვადით ჩამორთმეული მართვის უფლების აღდგენილება შეიცვალა 500 ლარის ოდენობის ჯარიმით, ხოლო მართვის უფლების ერთი წლის ვადით ჩამორთმევის შემთხვევაში, 1000 ლარის ოდენობის ჯარიმით.

გამკაცრდა სანქცია არაფხიხელ მდგომარეობაში მყოფი მძღვლისთვის, როცა სატრანსპორტო საშუალების მართვას სატრანსპორტო საშუალების, ტერორის, გზის, საჯარო თუ სხვა ნაკვების, აგრეთვე სხვა ქონების, ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება მოჰყვება.

“ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში” შესატანი ცვლილებების პროექტი შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოამზადა.



თავისუფლების კიბაში ჩაკარბულები!

ჩვენი მეგობარი რომან კენკიშვილი სპეციალობით ინჟინერია, რომელსაც ამ დარგში სადოქტორო დისერტაცია აქვს დაცული. ვფიქრობთ, მკითხველს ასევე დაინტერესებს ნაწევრი ბატონი რომანის წინამძღვარე წერილიდან, რომელშიც იგი თანამედროვე პოლიტიკის ფსიქოლოგიურ ასპექტებს მიმოიხილავს.

კაცობრიობა ათასწლეულების წინ გრძობდა პიროვნებათა ნივთიერების საფრთხეს და ინსტიტუტთან ბრძოლაში გონება მას ერთ იდეას, ჯგუფში ყველა ადამიანის თანასწორობას უპირისპირებდა. კრძალავდნენ ყოველგვარ დაქვემდებარებას, ჯგუფიდან აძევებდნენ ან სულაც კლავდნენ რამითი გამოჩენულს, რის შედეგადაც ღებულბოდნენ ანარქიას, რომლის დროსაც ძალაუფლებას აუცილებლად ამორალური, ფსიქიკურად დაავადებული პირი ეპატრონებოდა. ამიტომ საზოგადოების მართვის (წყობის) ერთადერთი გზა არის დაქვემდებარების პრინციპი. ამას მოითხოვს ადამიანთა ბიოლოგიური არსი. ამავე დროს დაცული უნდა იქნას პირობა: სტიქიური ივარაქის ნაცვლად, ივარაქის საფეხურზე უამრავი მდგომარეობას უნდა მოიპოვებდეს პიროვნება, რომელიც ჯგუფში აირჩია ან დანიშნა, საკმაო რაოდენობის დადებითი თვისებების გამო. პიროვნება უნდა იყოს იმუნიტეტის გარეშე და კანონმდებლობა იმდენად უნდა უკონტროლოს საშუალებას, ეს ორი უკანასკნელი პირობა აუცილებელია, რადგან სკამზე შემომჯდარი პიროვნების ბუნება შეიძლება სწრაფად შეიცვალოს. სკამზე და ივარაქის ნებისმიერ საფეხურზე, საზოგადოების ფენის ნებისმიერ წევრს აქვს პრეტენზია. „სკამზე“ მჯდომი ზოგიერთი დომინანტისათვის სკამი და გვირგვინი ეკლიანია, ზოგისათვის „ბაირობობა“. ისტორიიდან ცნობილია ჭეშმარიტი ლიდერების ქმედებები, როგორ სწორადნენ შეიღებდა და საკუთარ სიცოცხლეს ხალხისა და ქვეყნის ბედნიერებას. ასევე ცნობილია თუნდაც სულ უახლესი ფაქტები არაბული ქვეყნის მაგალითზე, როგორ შესწირეს თავი და შეიღებინ „სკამზე“. „სკამისათვის“ ბრძოლა ჯერ კიდევ ბაშეშვიდიდან იწყება. ისინი ივარაქიულ ურთიერთობებს სიცოცხლის პირველი წლებიდან იწყებენ. ბავშვმა, რომელმაც ლაპარაკი კი არ იცის, ტირილს იყენებს როგორც იარაღს გარემომყოფთა დასამორჩილებლად. მოზრდილები ებმებიან ივარაქიულ თამაშებში. ხოლო 5-15 წლიდან ქნინან მკაცრ ივარაქიულ სტრუქტურას. მოზრდილთა ჯგუფებში ძალაუფლებისათვის ბრძოლა, უმოწყალო ზოგჯერ კი კრიმინალურ ფორმებსაც იღებს.

ძალაუფლებისათვის (სკამი) ბრძოლა სამწუხაროდ ასაკის მატებასთან ერთად არ ქრება, ზოგიერთი მას სიბერემდეც კი აგრძელებს. ეს მისი ცხოვრების აზრი ხდება.

აღბათ ყველას გვახსოვს საქართველოს პარლამენტში განვითარებული მოვლენები, როგორ ექნა დადგენილება ბატონი ელუარდ შევარდნაძე ჯანდონიან მამაკაცებს, როცა ის ტრიბუნიდან ჩამოიყვანეს და პარლამენტის შენობიდან გაკეცილათ.

ასეთი ტიპის ადამიანები ცხოვრების ბოლომდე თამაშობენ და ამ თამაშებში ნაბმული ყვევართ ჩვენც, სახელმწიფოც და მთელი მსოფლიოც კი.

ივარაქიული წყობა „სკამების“ სიდიდის წყობაა. არსებობს დიდი და პატარა „სკამები“. სკამის სიდიდე განსაზღვრავს პატრონის ძალაუფლებას, დაბალ „სკამზე“ მჯდომი მუდმივად შეწყვეტილი მაღალი „სკამისკენ“ იმზირება. სკამამდე პიროვნული თვისებები ნაკლებად მნიშვნელოვანია, სკამზე შემოჯდომის შემდგომ ვლინდება – „ღატოვით კაბინის უმინანო ქსენია... მორბენალებით სახლში ამხანაგო ჭიპილია...“. ქსენიასა და ჭიპილიას მაგალითი საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ მათი სკამები თანაბარი ძალისაა. ოჯახის გარეთ უქნარა ჭიპილია დასვენს სკამზე („სკამის“ ძალა ასეთი ტიპის ადამიანებში განსაკუთრებით ადრე და ძლიერად ვლინდება), ოჯახში ქსენია ზის იგივე ძალის მქონე სკამზე.

„სკამის“ სიდიდე განსაზღვრავს პატრონის ძალაუფლებისა და სათანადო თავისუფლების ხარისხს. ძალაუფლებით მინიჭებული სიამოვნება გაცილებით დიდია ვიდრე სექსითა და ფულით. ძალაუფლება ამ ორი – სექსით და ფულით მიღებული

სიამოვნების მიღების მარტივი საშუალებაა. ამიტომ გამოთქმა „რა გახდა ეს სკამი?“, საკმეში ნაუხედავი ადამიანებისათვის გაუთვითცნობიერებელი მოვლენაა. მის ახსნას იძლევა თანამედროვე მეცნიერება. სიამოვნება ეს ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმისათვის დამახასიათებელი ფიზიოლოგიური განცდაა. ადამიანის თავის ტვინში არსებულ რეცეპტორებზე ხდება გარკვეული ნივთიერებების ზემოქმედება, რომლებიც შეიძლება გამოიშვათ როგორც ადამიანის ორგანიზმში, ასევე მათ მიწოდება შეიძლება მოხდეს გარედან. ამგვარად ადამიანი დეპულობს სიამოვნების განცდას.

ასე მაგალითად, მოკრივე, რომელმაც მოთო ორი ბრძოლა და გახდა ჩემპიონი (ავიდა პირამიდის მწვერვალზე) მიუხედავად იმისა, რომ დამტკიცებული აქვს ნეკები სიამოვნებისაგან ვერ გრძობს ტკივილს და არის ბედნიერი.

ძალაუფლებით გაბედნიერებული ადამიანები მცირე გამოჩენის გარდა საზოგადოებისათვის აუცილებლად საშიში ხდებიან, რადგან არ აქვს მნიშვნელობა ნარკოტიკულ ნივთიერებებს, ადამიანი გარედან მიიღებს თუ თვითონ გამოიშვათ, იგი ნარკომანი ხდება. ეს მოვლენა განსაკუთრებით ძლიერი მოქმედება ახალგაზრდა გაწონასწორებულ ადამიანებზე, რომლებმაც სკამი დაუმსახურებლად მიიღეს. ადამიანთა ქვეყის ასახსნელად ბევრი რთული და ჩახლართული თეორია გამოგონებული. ჭეშმარიტება კი ქვეყის მოტივირების ძალზე მარტივ და თანდაყოლილ პროგრამებშია, რომელიც ბუნებრივად გადარჩევაზე ბევრ სხვა სახეობებზე გამოსცდა.

როგორც მცირე განმარტებებიდან ჩანს ადამიანს არსებული პროგრამები არ აძლევს საშუალებას შექმნას საზოგადოება ურთიერთ დაქვემდებარების პრინციპის გარეშე, ყოველ საზოგადოებაში ყოველთვის არსებობს შეფარული (უბახიან დემოკრატია) მართვის ურთიერთ დაქვემდებარების პრინციპი. ძველ ბერძნებს გაანდრათ დემოკრატის ასწლიანი ციკლი. ისინი ყოველთვის უბრუნდებოდნენ საწყის, ურთიერთ დაქვემდებარების პრინციპს.

ილია ჭავჭავაძის, როგორც ზემოაღნიშნულების ადამიანს და დიდ ოპტიმისტს აღნიშნული პრობლემების გადაჭრის გზად, საზოგადოებისა და მეცნიერების განვითარება მიაჩნდა, რაც სამწუხაროდ ასე არ ხდება. არამედ პირიქით.

უამრავი სახეობების ქვეყების გაანალიზების შედეგად მეცნიერებმა ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინ დაადგინეს და გააკეთეს განსაცვიფრებელი დასკვნა: ძლიერ ცხოველს ძლიერი მორალი აქვს, სუსტს – სუსტი. ადამიანი ისტორიის მანძილზე იყო მტკად სუსტად შეიარაღებული; მაიმუნებისაგან განსხვავებით მას ხეირიანად ეკენაც კი არ შეეძლო, რის გამოც დაბალი მორალის მატარებელი იყო.

მორალს (თანდაყოლილ ან შექმნილ აკრძალვებს) ბუნებრივი გადარჩევა სრულყოფილ, მაგრამ ადამიანმა მცირე დროის მანძილზე გონებით დაიწყო იარაღის შექმნა და დედამიწაზე ყველაზე უფრო შეიარაღებულ სახეობად იქცა. მორალი არ შეცვლილა, რის გამოც გაუჩნდა პრობლემები, რომლებმაც მისი მორალი კიდევ უფრო დაბლა დასწიეს.

გარემო, რომელშიც სახეობები ცხოვრობდნენ ან დღეს ჩვენ ვცხოვრობთ, არ არის იდეალური (სამოთხე), რომ ყველა მცენება და მორალური აკრძალვები დაიცვან. ამიტომ, როგორც ყველა ცხოველს, ადამიანებსაც შემოვლითი გზებით აქვთ. ამ გზებიდან ყველაზე ზოგადია საზოგადოების დაყოფა „თავისიანებად და უცხოებად“. ადამიანის პროგრამა „ისწავლე შენიანის ცნობა“ ძალიან ადრე იწყებს მოქმედებას. რამდენიმე თვის ბავშვი უკვე უღიმის თავისიანებს, უცნობს კი უბღვერს და ხელის მოქნევით იშორებს.

სამწუხაროდ, ამ პროგრამების მოქმედებას მთელი ცხოვრება განვიცდით. ის აკრძალვები, რაც თავისიანთან მოქმედებს, უცხოებთან შესუსტებულია ან სულაც მოხსნილი.

ადამიანთა დაყოფის მრავალი საბაბი არსებობს – რელიგიური მრწამსი, ფერი, ენა, კულტურა, სოციალური ფენები და სხვ.

აქედან გამოსაყოფია რელიგიური მრწამსის მიხედვით საზოგადოების დაყოფა,

რომელსაც დიდი დამანგრეველი ძალა აქვს. ადამიანთა დაყოფა ბოროტებაა, რადგან ეს ადამიანს უხსნის ინსტიტუტურ აკრძალვებს, არ მიაყენოს ზიანი მოყვასს. მორალისგან განთავისუფლებული ადამიანი არა მარტო უღმობელია, არამედ განსაკუთრებით სასტიკი. სამწუხაროდ ყველაფერი ეს ჩვენს თაობას, ჩვენს თავზე გვაქვს გამოცდილი. საყოველთაო სიყვარულისაკენ ქრისტიანობის ეთოლოგიური მნიშვნელობა იმაშია, რომ საზოგადოების დაყოფას „შენიანებად და უცხოებად“ საფუძველი მოუწყოს.

დემოკრატია და ვაი-პოლიტიკოსებმა ქვეცნობიერად იცინა რა ადამიანებში ამ პროგრამების არსებობა, ამ იარაღს შესანიშნავად იყენებენ.

ამ საქმეში არიან გაუთვითცნობიერებელი ადამიანებიც, რომლებიც ბოროტებას სჩადიან. ერთ-ერთი სატელევიზიო არხი, რომელიც დღეს წამყვანი არხი გახდა, მთელი ძალით ცდილობს, გაყოფილი საზოგადოების კიდევ უფრო გახლენკვას. გადაცემის წყევანი შემოსხამს სკამებზე დაპირისპირებულ მხარეებს და ბოროტებას – ხალხის დაყოფას აღრმავეს. ისევე, როგორც ერთუჯრედეებიანების უაზრო დაქლაქით საზოგადოებას წამლავს.

ასევე პრემიერ-მინისტრის, მთავრობის, პარლამენტის ვალა იყოს მთელი საზოგადოებისა და არა ცალკეული ჯგუფების მსახური. საზოგადოების გონებადმგრეულმა ნაწილმა, რომელიც პირველი იმას მოგვაძახებს, რომ ამდენი რამ გაკეთდა – წყალი არ გვქონდა, დენი არ გვქონდა, გზა არ გვქონდა, არ იცის რის ფასად მოხდა ყველაფერი ეს. ვალებში ჩაფლულ ბერძნებს ურჩიეს გაეყიდათ კუნძულები, რაზედაც მთელი საბერძნეთი გადაიარა. ჩვენ ესეც არ გვითხრებს ისე გაიყვას ჩვენი მიწები. ვფიქრობ ჩვენი ხალხი ყველაფერ ამას გაიგებს და ჭკუაც შეუბრუნდებათ, თორემ ისედაც ცოტანი დაერჩიოთ.

ის ერთი მუჭა ხალხი, რომლებმაც ამ დღეში ჩაგვავდო არის ქვეყნის დამაქვეყველი და პასუხი უნდა აგოს. როგორც ზემოთ აღვნიშნე, გაევიზიაროთ მოწინავე ქვეყნების გამოცდილება და დავამთავროთ ეს პროცესი, დავიწყოთ ქვეყნის მშენებლობა, თორემ ისედაც ბევრი დრო დაეკარგეთ და ახლაც ერთ ადგილზე ვიტკეპნებით.

თუ დრო და დრო გამოვძვრებით ჩვენი ნაჭუჭიდან და ჩვენს თავსა და ქვეყანას ზემოდან უცხო თვალთ გადავხედავთ ისევე როგორც ვუყურებდით კორეას, ვიეტნამს, ლაოსს, კამბოჯას სადაც ეს ქვეყნები ამერიკამ და სსრკ-მ შუაზე გაეყვას, სადაც სსრკ იქაური მუშებისა და გლეხების განთავისუფლებისა და ბოროტების ახსნის მიზნით შედიოდა, ხოლო ამერიკა ბორკილების ახსნას არ ანებებდა, ვნახეთ რაც დაეხმარათ. როგორც ჩვენ საკაშვილი, მათაც ყავდათ კიმ-ირ ხენი, ხო-შიმინი, ჩანკაიში.

ამ მხრივ ვასაკეირი არაფერი არ არის, რომ არა ერთი გარემოება. საქართველოს დაყოფით რუსეთთან კონფლიქტში (გარედან უცხო თვალთ ასე დაინახავს), კმაყოფილი დარჩა ომში მონაწილე სამივე მხარე. რუსეთმა მიიღო თავისი, ამერიკამ გზა და დასაყრდენი აღმოსავლეთისაკენ, ხოლო ჩვენმა ვარსკვლავებმა მიიღო ფული და შეიძინა რუსეთთან მეომარი გმირის სახელი (ბევრჯერ გამოგონია ჩვენ ვართ ის ხალხი ვინც ვაგებდეთ და რუსეთს წინ ადევდით, არა და ამას ის ხალხი ამბობდა ვინც ერთმანეთს ასწრებდა და „წითელ ხიდთან“ მანქანების რიგში გადანაცვლებაზე ფულს იხდიდა). თითქოს წაგებული ომით იმიჯი შეულახა და ნიღაბი ახადა რუსეთის იმპერიულ ზრახვებს (ყოველივე ამად ღირდა კი ამდენი მიწების დაკარგვა, ამდენი უბედურება. თუ ამით არ იცოდნენ, ნებისმიერი ადამიანი ეტყოდათ რა ზრახვები გააჩნია ისეთ დიდ იმპერიებს. გრიგოლ ორბელიანი რომ წერდა, თავის გასართობად კი არ წერდა, ჩვენ გვიტოვებდა სასწავლებლად: „არ თვით მეფენიც, რომლის უმაღლეს არავინ არ არის და წინაშე ვერვინ აღუდგეს, შფოთავენ და დრტიან და იტყვიან როდის იქნება ის ქვეყანაცა რომ ჩემი იყოს“. ეს ბუნების კანონია.

ყოველ შემთხვევაში ასე მისხნიდა ჯაჭვემ მდგომი ერთი ჩემი მეგობარი: მტრის ჯინაზე უნდა ვიმდგოთო, მტერს არ უნდა ვანვენოთ რომ სულთერად გავ-

ტყდით. რა დონეზე დაიყვანეს ხალხის გონება? არა და ამ ჩემს მეგობარს სოფელში სეპარატისტებმა სახლის წინ გაუტარეს სახლვარი. ასევე, ერთმა ჩემმა მეზობელმა, ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, შემოიხივლა – რა ჰქნეს ამ შობელადლებმა, ნატოს პირდაპირ პირიდან გამოგვეგლიჯეს და ამით ჩვენი თავისუფლება საბოლოოდ დაასამარესო. რას ვეტყვოდი – აბა, რა ქნეს-მეთქი. არა და ეს ის ხალხია, რომელთაც ქართული საქმე უკეთებია, ერისა და ქვეყნისათვის უყოყმანოდ თავს გასწირავს. ეს ჩემი მეგობარს აფხაზურ კონფლიქტში ჩემთან ერთად იმყოფებოდა ომის ბოლომდე. ცოდო არ არის ეს ხალხი? ხელი ვკრათ?

როგორ განვვითაროთ მომავალი, 306 არის ჩვენი მიზნობარი.

სულ რამდენიმე ხნის უკან გავრცელდა ინფორმაცია ამერიკის ცენტრალური სადაზვერუო სამმართველოს, სადაც აღნიშნულია უახლესი მომავლის პროგნოზები. კერძოდ, ჩინეთი გახდება ზესახელმწიფო, რუსეთი შევა ზესახელმწიფოების ათეულში, ევროკავშირი ჩამოიშორებს პატარა სახელმწიფოებს (ეს პროცესი უკვე დაწყებულია და ამას დიდი პროგნოზირება არ ჭირდება), ამერიკის შეერთებულ შტატებს ექნება თავისი სამყოფი ნავთობი და გაზი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საზოგადოებრივი ცხოვრების წესს განსაზღვრავს ადამიანთა გენეტიკური პროგრამები, რომლებიც დაფუძნებულია ურთიერთდაქვემდებარების პრინციპზე, რომელიც ბუნებრივია და მყარი. საზოგადოებრივი მდგომარეობა ასეთ ქვეყნებში დამოკიდებულია ქვეყნის პირველ პირზე – „დომინანტზე“. ქვეყნის სიდიდე, ძლიერება, რუსეთის განსაზღვრავს ამ ქვეყნის თავისუფლების ხარისხს და თამაშის წესს. ის ქვეყანა რომელიც სუსტია, მუდმივად იმყოფება არსებული ძლიერი სახელმწიფოს დაქვემდებარების ქვეშ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, წინასწარ განსაზღვრული იყო გარკვეული პოლიტიკური თამაშის წესი, რომელიც ითვალისწინებდა, რუსეთის ფრთის ქვეშ, რადაც მომტკებული დოზით, არსებული შედარებით მაღალ თავისუფლების ხარისხს. როგორც ანალიზი გვიჩვენებს, ამერიკას რუსეთის დაშლის ორ ეტაპიანი პროგრამა ჰქონდა. პირველი ეს იყო სსრკ-ს დაშლა, მეორე – რუსეთის ქართველები არსებულ თამაშის წესებს განსხვავებით სხვა რესპუბლიკებისგან, პირველ ეტაპზე გამოეყოფილათ, მოვიწოდოთ აბსოლუტური თავისუფლება. დაერჩით როგორც უპატრონო თხები. ვიძახეთ: ჩვენ მარტო „ბორჯომი“ შეგვიჩინახსო და ახლა ისეთ მდგომარეობაში ჩავარდით, რომ ხალხს წყაროს და „ბორჯომის“ წყალი კი არა მდინარის წყალი ენატრება. უპატრონო თხას მგელი ჭამს, უპატრონო ეკლესიას კი ეშმაკები ეპატრონებიან.

როგორ გვჭამენ, როგორც თხას, და როგორ გვამატრონებიან ეშმაკები

თუ ჯვაროსნები არაბული მდიდარი კულტურის ქვეყნის საძარცვად ქრისტეს სახელით შედიოდნენ, ხოლო ბოლშევიკები – მუშებისა და გლეხებისათვის ხელბოროტილის ასახსნელად, დღეს ამერიკა ქვეყნებს პიროვნებისა და სიტყვის თავისუფლების სახელით „ათავისუფლებს“.

ქვეყნების დაპრობის მეთოდები, რომელსაც დღეს ამერიკა იყენებს, ატომურ ბომბზე ბინძურია, ამორალური და მიუღებელი. ქვეყანა, რომელიც ამერიკის ინტერესის ქვეშ მოექცევა, თუ მას ფარაველი არა ჰყავს ან ძალა არ შესწევს, ისე წაიშლება რუქიდან რომ მომგონ-მოიხივანი არ დარჩება. მის მიერ გამოყენებული მეთოდები ძველიდ არის და ახლთაც შეესაბამება. ქვეყნიდან გაჰყავს ახალგაზრდობა. ახდენს მათ „აღზრდას“, დამუშავება-გადარჩევას. ჭკვიანს, ნიჭიერს თვითონ იტოვებს. დომინანტად ირჩევს მისთვის სათანადო პიროვნებებს, გადააკრავს თავზე დიდ წითელ ბიბილოს და აბრუნებს უკან ქვეყანაში (ამით შეგნებულად ხელს უწყობს ქვეყნის გენოფონდის განადგურებას).

რომან კენკიშვილი, სსიპ მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის თბოენერგეტიკული დანადგარების განყოფილების უფროსი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (გაგრძელება იქნება)

სკორტული კუთხე მიჰყავს შურნალისტ ბიორბი ჯალაღანიას "კავასიელებო, თქვენი დედა..." - როგორ წაართვეს თბილისის "დინამოს" ჩემპიონობა



დღემდე ქართული ფეხბურთისა და თბილისის "დინამოს" გულშემატკივრები პევებიან, თუ როგორ წაართვეს 1953 წელს "დინამოს" საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა. მას შემდეგ 60 წელი გავიდა.

მაინც, რა მოხდა მაშინ? ამის შესახებ, ქართული ფეხბურთის მეკლავარმა დავით ილურდემი რუსულ წყაროებში საინტერესო ფაქტებით აღმოაჩინა და გავიხიარა...

- ძველი თაობის გულშემატკივრებისგან მსმენია, რომ უკვე განადღებულნი ჩემპიონობა, ფაქტობრივად, ჩამოგვართვეს. ბევრ გაზეთში წამიკითხავს, რომ როცა "დინამომ" მოსკოვში "ტორპედოს" 2:1 მოუგო, თამაშის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე სტადიონზე გამოაცხადეს - "მოსკოვის "სპარტაკმა" თამაშის წაგო, ჩემპიონები ქართველები გახდნენ".

დინამოელებმა პირველობა გასახდელში იხეიშეს და მხოლოდ მეორე დღეს გაიგეს, რომ ეს მატჩი უნდა გადათამაშებულიყო, რადგან "ტორპედომ", მსაჯების შეცდომების გამო, მატჩის შედეგი გაასაჩივრა.

მოკლედ, 1953 წლის 4 სექტემბერს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური მატჩი შედგა, რომლის ანალოგიც საფეხბურთო ისტორიაში ძნელად თუ მოიძებნება.

ყველაფერი დაიწყო 7 აგვისტოს, როცა "დინამომ" თბილისში ყველაზე უხერხულ მეტოქე მოსკოვის "დინამოს" 3:2 მოუგო. დინამოელები ჩემპიონობისთვის იბრძოდნენ და ამ გამარჯვების მნიშვნელობა ძალზე დიდი იყო - თბილისელები 22 ქულით გადიდებდნენ. თუმცა კონკურენტ მოსკო-

ვის "სპარტაკს" მარაგში ერთი მატჩი ჰქონდა.

სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა. მოსკოველები შინ თბილისელთა მთავარ მწვერთვად მიხედ იაკუშინთან ერთად დაბრუნდნენ - საკავშირო სპორტსახოგადოება "დინამოს" გადაწყვეტილებით, იაკუშინი სასწრაფოდ საბჭოეთის დედაქალაქში დაიბარეს და... მოსკოვის "დინამოს" მთავარ მწვერთვად დანიშნეს.

თავად იაკუშინი იხსენებდა: "მოსკოვის "დინამოში" თბილისელთათვის რთულ მომენტში დამაბრუნეს, ჩვენ ხომ ლიდერები ვიყავით. იმ დღეს, ჩემს მშობლიურ მოსკოვის "დინამოს" 3:2 მოუგეთ.

სკორტული საზოგადოების ცენტრალური საბჭოს გადაწყვეტილებით, სასწრაფოდ მოსკოვში მიხმეს.

რა თქმა უნდა, მკითხველს - თანახმა ვიყავი თუ არა, მუშაობა მოსკოვის "დინამოში" გამეგრებლებინა? თუმცა საუბარი ულტიმატუმის ვინთ წარიმართა..."

- იაკუშინის წასვლის შემდეგ, თბილისის "დინამო" ქართული ფეხბურთის ლეგენდას, ბორის პაიჭაძეს ჩააბარეს, რომელიც საქართველოში უზომო ავტორიტეტით სარგებლობდა. მაგრამ სამწვერთველო საქმეში გამოუცდელი იყო და გულშემატკივარი შეფიქრიანდა - მოახერხებდა კი იაკუშინის საქმის დირსეულად გაგრძელებას?

...მოძღვენი ორი მატჩი "დინამომ" მოიგო, მესამეში კი, მოულოდნელად, აუტსაიდერ ვილნიუსის "სპარტაკთან" წაიფორხილა. რჩებოდა მხოლოდ 4 სექტემბრის მატჩი მოსკოვში, "ტორპედოს" წინააღმდეგ.

ტორპედოელებთან გამარჯვების შემთხვევაში, "დინამოს" 20 მატჩში 29 ქულა უგროვდებოდა (მაშინ მოგებაზე 2 ქულა იწერებოდა). "ხეივანი" მე-4 ადგილზე იყო და ჩემპიონობაზე დაჯიშული "სპარტაკთან", თითქოს, მოტივაცია არ უნდა ჰქონოდა. თუმცა... მოულოდნელად, ლენინგრადელებმა მოიგეს.

- 4 სექტემბერს თბილისის "დინამოსა" და მოსკოვის "ტორპედოს" მატჩმა, რომელ-

იც მოსკოვის "დინამოს" სტადიონზე გაიმართა, მოულოდნელად 180 გრადუსით შემოატრიალა. თამაშს სჯიდა ლენინგრადელ მსაჯთა ბრიგადა პიოტრ ბელოვის მეთაურობით.

თამაშში საკმაოდ ხისტი და უხეში გამოდგა. მე-14 წუთზე ანგარიში იური ვარდიმიადიმ გახსნა - 0:1. მე-19 წუთზე გიორგი ანთაძემ "დინამოს" უპირატესობა სოლიდური გახადა - 0:2. ვალენტინ ივანოვმა კი, 71-ე წუთზე, მხოლოდ სხვაობის შემცირება მოახერხა და "დინამომ" 2:1 გაიმარჯვა.

...მაგრამ მოსკოველი გულშემატკივრები მსაჯის ზოგიერთმა გადაწყვეტილებამ გააღიზიანა. თითქოსდა, თბილისელთა პირველი გოლი მას შემდეგ გავიდა, რაც კუთხურიდან ჩაწოდებულმა ბურთმა პირით ხაზი გადაკვეთა; ამას გარდა, მსაჯმა თბილისელ მოთამაშეზე საკუთარ საჯარიმში ხელით თამაშიც ვერ დაინახა და პენალტი არ დანიშნა; და კიდევ, "ტორპედოს" მეორე გოლი უსამართლოდ გააუქმეს.

თამაშის ბოლოსკენ აღვივლები გულშემატკივარი უკონტროლო გახდა და ტრიბუნებიდან ანტიქართული შეძახილები დაიწყო - "კავასიელებო, თქვენი დედა...". მსაჯს ესროდნენ ქვებს და ბოთლებს.

ფინალური სასტენის შემდეგ რამდენიმე ასეული მაყურებელი მინდორზე შეიჭრა. მოთამაშეებმა და მსაჯებმა თავი გასახდელს შეაფარეს.

"ტორპედოს" ფორვარდი ვალენტინ ივანოვი იხსენებდა: "მოვასწართ და მსაჯი ჩვენს გასახდელში გადავმალეთ".

ხულიგანი გულშემატკივრების მცდელობა, შეეღწათ თბილისელთა გასახდელში, მილიციამ ადვილად აღკვეთა. როცა ვითარება დაწყნარდა, კაპიტნებმა, მწვერთველებმა და მთავარმა მსაჯმა მატჩის ოქმი შეავსეს, ხელი მოაწერეს და სტადიონი დატოვეს.

აი, რას ჰყვება მიხეილ იაკუშინი: "გადაწყვეტ მატჩს მაყურებლის როლში ვაღივებდი თვალს. თბილისელებმა სუფთად და სამართლიანად მოიგეს. თამაშის ბოლოს მოედანზე გამოვარდნენ

ხულიგნები, რომლებიც მსაჯების მიმართ უკმაყოფილებას გამოხატავდნენ, შეაღწიეს ტრიბუნის ქვეშ მდებარე შენობაში და იქაც უწესოდ იქცეოდნენ.

როგორც წესი, ამის გამო, წაგებას მასპინძელ გუნდს ჩაუვლიდნენ. მაგრამ, მოულოდნელად, გამოაჩინეს "ტორპედოს" "პროტესტი", ვითომ - მსაჯების მიერ დაშვებული შეცდომების გამო. წესით, ეს საკითხი არც უნდა განხილულიყო, მაგრამ მაინც მატჩის გადათამაშება გადაწყვიტეს. ეს დიდი უსამართლობა იყო.

- ჩვენებზე ამ გადაწყვეტილებამ საშინლად იმოქმედა.

ყველაზე სკანდალური საბჭოთა მატჩი ერთ-ერთმა რუსმა შურნალისტმა ასე მონათლა - "შეკლევლობა" პეტროვსკის პარკში" (მოსკოვის "დინამოს" სტადიონი პეტროვსკის პარკში მდებარეობს - რედ), რომლის ანალოგიც საბჭოთა ფეხბურთში არ არსებობდა".

- იგივე შურნალისტი წერს: "საბჭოთა ხელისუფლებას არ სურდა, სტადიონის გარდაცვალების წელს ჩემპიონი თბილისის "დინამო" გამხდარიყო, რადგან ქართული ნაციონალიზმის გამოვლენის ეშინოდა..."

ისმის კითხვები - რატომ დაინტერესდა ფეხბურთით წითელი იმპერიის მაშინდელი მმართველი ნიკიტა ხრუშჩოვი, რომელსაც საერთოდ არ აინტერესებდა სპორტის ეს სახეობა? თან დაინტერესდა მხოლოდ ამ კონკრეტული მატჩით.

შემთხვევითობაა, რომ ეს მოხდა სტადიონის გარდაცვალებისა და ბერიას დაპატიმრების წელს?

ამტკიცებენ - როცა თბილისის "დინამოს" შესაძლო ჩემპიონობის ამბავი ხრუშჩოვს შეატყობინეს, თურმე უზომოდ აღშფოთდა. ამით სსრ კავშირის ჩემპიონატში მოსკოველი კლუბების ჰეგემონია დასრულდებოდა და, თანაც - თბილისის "დინამოს" მიერ!

"დინამომ" უმაღლესი სინჯის მედლები 1964 წლის შემოდგომაზე მოიპოვა - ერთი თვის მერე, რაც ხრუშჩოვს თანამდებობა დაატოვებინეს...

გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა "პერი - XXI საუკუნის საპატიმრო მინაჯარი". გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნის შექმნა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624 თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათს დღეს, დღის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დღივზე). ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან. ცნობისათვის დარეკეთ - 599.573.322

ნინა სუბლატი - ბავიდა თქვენი დრო

მომღერალი ნინა სუბლატი "ფეისბუქის" საკუთარ გვერდზე ქართულ მუსიკალურ სფეროში არსებულ ვითარებას აკრიტიკებს.

"ესე იგი ჩემი უდიდესი სურვილის მიუხედავად, რომ საქართველოში რაღაც საინტერესო, სახალისო და სასიამოვნო მოხდეს მუსიკალურ სფეროში (და დარწმუნებული ვარ, ეს მართლ ჩემი კი არა ძალიან ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდის სურვილია) ნელ-ნელა ვრწმუნდები/თუ ვერ კიდევ არ ვარ დარწმუნებული, რომ არც არაფერი მოხდება მომავალ 15 წლის განმავლობაში - ეს კარგ შემთხვევაში 15 წელი, თორემ შეიძლება რეალურად უფრო მეტი დრო დასჭირდეს იმ დიპანი ფულიანი კაცების, უნიჭო დაბოღმული ქალებისა და საერთოდ ბნელი საზოგადოების აღსასრულს... წადით რა, თავი დაგვანებეთ! რა არის, რაღაც გინდა გააკეთო და არ გაკეთებინებენ!!! ამოვიდა ყელში ამ ვითარება გრანდიოზულ კონცერტებზე COVE-ER-ების შესრულება! თუთიყუშებიც აღარ გეგვია უკე რაღაც მარაზშია რა... თავაზობ ტიპებს რაღაც საინტერესოს და ფეხებზე კიდათ, ოღონდ ზედმეტი დრო არ დახარჯონ რამეზე... მოგებებრდა ამ "დივიდალაღეები"-ს და წყლის ჩამოტანილი ნაფორტის მოსმენა, გავიდა მაგათი დრო და გაქრით რაა ეს ჩონგურიანი და დაფდაფიანი ტიპები, გადადიოთ სადმე სხვაგან ჩვენ ჩვენი საკუთარი და არც თუ ისე ცუდი სიმღერები გვაქვს, რომლებსაც გაცილებით კარგად ვასრულებთ, ვიდრე ნებისმიერი COVER-ი... ბევრი ნიჭიერი ადამიანი და ისე ნუ იხამო, რომ ყველა გაიტყვეს ამ ქვეყნიდან... ბევრი მილიონი გაქვთ

იმისთვის, რომ რაღაც კარგი საქმე გააკეთოთ და თვეში ერთხელ, 2-3 წლის განმავლობაში, სულ ცოტა რომ მოაკელოთ თქვენი ჯიბეებს, 5 წელში გაცილებით მეტს მოტეხავთ, ვიდრე ახლა გეხარჯებათ... რა სირცხვილია!!!

რა თქმა უნდა, ფოლკლორი თავის ადგილზე უნდა იყოს და ჩვენ ახალგაზრდა მომღერლებიც და მსმენელებიც ჩვენს ადგილზე განვითარება ყველაგან და ყველაგანში საჭიროა, მითუმეტეს საქართველოში - კულტურაში რომ ფული არ იხარჯება და ყველას კიდას, ეგაა პრობლემა თორე ჩონგური არსად წაგა... შემოქმედება ავითარებს ადამიანს სულიერად და, სხვათაშორის, ფიზიკურად და კულტურაში თუ ის უკეთესი სიმღერები იგულისხმება, რომელსაც "წითელი ბასანოკი" და "ნინიკო, ნინიკო" ჰქვია, მაშინ არ ვიცი... მაშინ აუცილებლად შევავიწოთ კულტურას...

რომ მიყვარს სამშობლო, იმიტომ მინდა, რომ სიბნელე არ იყოს და ხალხს ჰქონდეს რამე კარგის მოსმენის და საერთოდ რამე კარგის ნახვის და გაგების სურვილი და ამ უცხოეთზე არ ვიყოთ დამოკიდებულიები", - წერს მომღერალი.

ნინა სუბლატი 2013 წლის 1 ივლისს მუსიკალურ კონკურს "საქართველოს ვარსკვლავში" გაიმარჯვა.

ამ ფორტოს ხილვის შემდეგ დარწმუნდებით, რომ აქ გამოსახული "ბანოვანის" ადგილი, როგორც მორალურ-პატრიოტულად, ასევე ხეობრივად, პანელზე უფრო, ვიდრე ესტრადაზე, იცის მის მიმართ ნორმალური საზოგადოების უარყო

უკვე გამოვიდა შურნალ „პია“-ს მომღვერო ნომერი, რომლის მთავარი რადაქტორია ბატონი ბიორბი სიჭინავა.

შურნალი შეგიძლიათ შეიძინოთ თბილისში, ტაშენტის ქუჩა №25-ში, I სადარბაზო, ბინა 1.

ზუგდიდში, ფოთში, ხობში, სენაკში, წალენჯიხაში, ჩხოროწყუში, აბაშაში და მარტვილში შურნალის შექმნა შეგიძლიათ სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“-ს წარმომადგენლობაში.

შურნალის ფასია 4 ლარი

შეცდომის ბასწორება გაზეთის წინა ნომერში შეცდომით გაიპარა ფრანკ ბატონ კვარაცხელიას აფხაზეთის ომში მონაწილეობის თაობაზე, რაც არასწორია. აფხაზეთის ომის დღეებში ბატონ ზურაბს, ისევე როგორც ეროვნული მოძრაობის სხვა ლიდერებს, სდევნიდა შევარდნაძის კრიმი-

ნალური ხელისუფლება და იგი იმყოფებოდა მამალეაში.

გაზ. "ილორი"

Advertisement for 'პერია XX საუკუნის საპატიმრო მინაჯარი' (Peria XX Century Prisoner's Memoir). It features a portrait of a man in a military-style cap and a background image of a city at night. Text includes 'სამეგრელო' and 'საპატიმრო მინაჯარი'.

Advertisement for 'ბავიდა თქვენი დრო' (Bavida Your Time). It includes the ISSN number 1987-8966, the publisher 'ილორი', and a barcode.

Advertisement for 'რედაქციის მისამართი' (Editorial Office Address). It provides the address 'თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6, საბ.პ. №01018002930' and contact information.

Advertisement for 'რედაქციის მისამართი' (Editorial Office Address). It provides the address 'თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6, საბ.პ. №01018002930' and contact information.

Advertisement for 'გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე' (You can get acquainted with the newspaper "Ilori" on the website "Saqinform"). It includes the website URL 'WWW.SAQINFORM.GE'.